წლიწადი 1912 მეორე

ორშაბათი, 12 მარტი № 62

ფასი გაზეთისა წლიურად—2 მ. 50 კ. ნახევარი წლით—1 მ. და 25 კპ. 3 თვით—1 მან. 1 თვით 25 კაპ.

თითო ნომერი 5 კაპ.

განცხადებათა ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 კ. უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ. ტექსტს შუაგულს—20 კ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

# თემი

ორშაბათი, 12 მარტი № 62

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

დაწუნებულ წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია ინახავს მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში. პასუხისათვის საჭიროა ფოსტის მარკები. რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ-დღე კვირა-უქმების გარდა 2 საათიდან 3 საათამდის რედაქციაში Дворцовая д. д. Д З. Сараджева № 6. ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება აქვე კვირა-უქმე დღეებს გარდა.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდის ორშაბათობით

მიიღება ხელის მოწერა
1912 წლისათვის
გაზეთი
წელიწადი მეორე. **თემი** წელიწადი მეორე.

ფასი გაზეთისა: წლიურად—2 მ. 50 კაპ. ნახევარი წლით—1 მ. 25 კაპ. ერთი თვით—25 კაპ ✦ რედაქციის და კანტორის ადრესი: Дворцовая 6, редакція газеты „ТЕМИ". რედაქტორ-გამომცემელი გრ. დიასამიძე.

Adresse télégraphique SANITAS

Кавказское Товарищество торговли аптекарскими товарами въ Тифлисѣ

ამხანაგობის საკუთრად ნაკეთები:
საბავშვო ფხვნილი.
ბრინჯის ფხვნილი.
ბორო-ვაზელინი
კბილი ფხვნილი.

კანის დამარბილებელი
კოსმოლინი
ოთახის ჰაერის გამწმენდი
„ფიჭვის წყალი".

Адресъ телеграммъ САНИТАСЪ Тифлисъ

სასახლის ქუჩა **ძმ. ალშვანგები** ტელეფ. № 477.

მიღებულია: მამაკაცთათვის

შლიაპები, ჯოხები და ნამდვილი

ამერიკული ფერადიანი

ფეხსაცმელი.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავათმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყოფ. 9-ნახ.—10 საათ.
ა. დიასამიძე—ყოვ. დღე კვირის გარდა 11-ნახ.—12-ნახ.-მდე, სიფ., კან. და ვენ.
ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე კვირის გარდა 11-ნახ.—12-დე ყელ. ყურ. ცხვ. სნეულ.
ე. ს. სტანიშევსკი—ყოვ. დღე კვირის გარდა, შინაგ. ავად. 11-ნახ.—12 ს.
ნ. მ. მელიქიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდ 1—2 ს. ქირურგ. და ქალ. სნ.
შ. ა. მიქელაძე—ყოვ. დღე კვირის გარდა, 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ.
ქირურგიული სნეულ. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევა; აგრეთვე უვაგ. აცრა და ძიძების გასინჯვა.
ფასი რჩევისათვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით.
წამლობა „606"-ითა.

პირველხარისხოვანი სასტუმრო

ვესტელი

ნომრები 1 მ.—7 მანეთამდე, ელექტრონით განათება, ორთქლით გათბობა, ნომრებს უფასოდ ათბობენ, ასასვლელი მანქანა „ლიფტი", ვანები, „დუში", მისვლისთანავე მგზავრებს შეუძლიათ ერთხელ ისარგებლონ ვანით უფასოდ.

პირველხარისხოვანი რესტორანი

ევროპიული და აზიური საჭმელები. ცალკე კაბინეთები, პიანინო, პოლიფონი, ქორწილებისა, სადილებისა და პიკნიკებისათვის ცალკე დარბაზი. ბილიარდები და კეგელბანი. სასტუმროში არის ცალკე სამკითხველო და სასტუმრო დარბაზი.

სადილები არჩევით, ქარტით.

| | |
|---|---|
| 2—ფერისა . . . . . . . . | 60 კაპ. |
| 3—ფერისა . . . . . . . . | 75 კაპ. |
| 4—ფერისა . . . . . . . . | 1 მანეთი. |

პატრონი ნოე სიხარულიძე.

იბეჭდება და მალე გამოვა **აკაკის** თხზულების პირველი წიგნი, რომელშიაც მოთავსებული იქნება ახალი ნაწარმოები ჯერ დაუბეჭდავი და აგრეთვე ძველიც, ზოგიერთის შენიშვნებით და განმარტებით. წინასწარის ხელის მოწერით წიგნი ეღირება ათ შაურად. ● ხელის მოწერა შეიძლება თბილისს: წ. კ. გ ს. და „ცოდნა"-ს წიგ. მაღაზიაში; ქუთაისს:—„კოლხიდის" რედაქციაში, მთავრიშვილის წიგ. მაღაზ. და კანტორა „იმერეთში"; ბათომს:—ნ. ა. საბაშვილთან; ფოთს:—ი. კოხრეიძესთან; ყვირილას—წიგნის მაღაზიებში.

ახალი კლუბი

სამშაბათს, 12 მარტს,

სინემატოგრაფი ს. ო. ივანიცკაიასი.

ნაჩვენები იქნება დიდი სურათი ორ ნაწილად

ცხოვრების ქარიშხალში

დასაწყისი სალამოს რვა საათზე. სინემატოგრაფის შემდეგ იაფ-ფასიანი ლოტო.

ახალი კლუბი

სამშაბათს, 13 მარტს, ბენეფისი ორკესტრის ლოტბარის ს. ი. პრესმანისა მესამე სიმფონიური კრება. ასრულებული იქნება განსაკუთრებით პ. ი. ჩაიკოვსკის ნაწარმოებნი: 1. სიმფონია № 1 g—mole op. 13. სერენადა სიმებიანი ორკესტრისათვის op. 48. 3. უვერტიურა „1812 წელი". სიმებიანი ორკესტრი შესდგება 43 კაცისაგან და იქნება სამხედრო მუსიკა. დასაწყისი სალ. 9 ს. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძებვილოვები.
პუშკინის ქ; საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712

ყოველ-დღე მოგვდის
ახალ-ახალი წითელი სიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კომარი, სალიანის თევზეულობა შამაია და ყოველ გვარი გამოსული თევზი

ბირჟის ზალა

პარასკევს, 16 მარტს, ქართ. სცენის მოყვარეთა წრის მიერ წარმოდგენილი იქნება

I. შიო თავადი

ისტორიული დრამა 3 მოქმედებად, შიო არაგვისპარელისა.

II. საღამო ერთი საათით

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: კავრიძე, მარგველაშვილი, კავთელი, ბ-ნნი: გარსევანიშვილი, გიორგობიანი, გველესიანი, გაჩნიძე, თვალჭრელიძე, იმერელიშვილი, კაპანაძე, მოხევე, ოგახოვი, ჩიმკარიანი, ფირიაშვილი, დ. ინაძე და სხვანი.

ბილეთები ისყიდება წარმოდგენის დღეს 11 ს.-დან 2 ს.-დე და 6 ს.-დან წარმოდგენის ბოლომდე. ადგილების ფასი 20 კაპ. 50 კაპეიკამდე.

გამგე თ. გველესიანი. დასაწყისი სალ. 8 საათზე.

ექიმი
გ. ფ. ნათიშვილი
სიფილისი, კანისა და ვენერიული ავათმყოფობა. დილით 11 ნახ. ს.—1 ს. სალ. 7—8 ს. ადრესი: მონუმენტის შესახვევი № 5, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. ტელეფონი 486

ექიმი
ვ. ღამბაშიძე
სალამოს 6—7 საათ. კვირა დღის გარდა. ოლგას ქუჩა, № 29.

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელოვის შვილები
ქუთაისში

ერთად ერთი წარმომადგენელი მთელ ამიერ კავკასიისა ამით ვაცნობებთ პატივცემულ მეაბრეშუმეებს, რომ მიღებულია და იყიდება ცნობილ ფირმის აბრეშუმის ჭიის თესლი **ხ. ხრისტოდულიდის**, რომელსაც წინათ ეძახდენ წერეთლისა, როგორც უმთავრეს საწყობში ქუთაისში თავის სავაჭროში, მიხ. ქუჩა, აგრეთვე თავის აგენტებთან—სოხუმში—რაფიელ გოკიელოვის თუთუნის საწყობში; თბილისში—სტეფანე ა. დავითიანცთან, ქსენიევის ქ. № 6, გოკიელოვის სახლი; ბათუმში—მაჭარაძე და ჭეიშვილთან, ორიყენსკის და დუნდუკარსაკოვის ქუჩის კუთხე; ახალ-სენაკში—ბართლომე ჭაჭიასთან ფარცხანაყანებისთვის, ქვიტირისთვის, მაღლაკისთვის, პატრიკეთისთვის, საყულისთვის, შგამთვისთვის და წყალტუბოსთვის უმთავრეს აგენტად გაყიდვისთვის დანიშნულია **ლევანტი ექვთიმეს ძე ნუცუბიძე**, რომელიც ცხოვრობს ფარცანაყანებში, იარმუკაში.

სიყალბის და შეცდომის ასაცილებლად ყოველ კოლოფზე დაკრული გვაქვს ჩვენი ფირმის ბეჭედი და თეთრი იარლიკი ქართული წარწერით, ამიტომაც ყიდვის დროს ვთხოვთ მიაქციონ ყურადღება იარლიკს და ბეჭედს ჩვენი ფირმისას. ხშირათ მეაბრეშუმეები ეტანებიან იაფ ფასიან აბრეშუმის თესლებს ან გვიან უდულობენ, რომ გამოსული თესლები იაფათ იყიდონ და ამგვარი უმნიშვნელო ეკონომიით შემდეგში ჰკარგავენ დიდ სარგებლობას. ვურჩევთ პატივცემულ აეაბრეშუმეებს ნუ დაიშურებენ რამოდენიმე აბაზს კარგი და დაუზიანებელი თესლის შესაძენათ და შეიძინონ ადრევე საუკეთესო ხარისხის **ხ. ხრისტოდულიდის** ფირმის აარეშუმის ჭიის თესლი.

სტამბა „გეჭდვითი საქმე" კილაძისა

1912 წლის 1-ლ მარტიდგან 15 აპრილამდე

მართავს ხელის მოწერას ცნობილ მსოფლიო პოეტის

ჰენრიხ ჰეინეს მე-5-თე და მე 6-სე

წიგნის რჩეულ ლექსებზე; თარგმანი **ჭ. ო—ლიასი**;

წიგნს დაერთვის წინასიტყვაობა, **ჰეინეს** ბიოგრაფია, სურათი და კარლ მარქსის მოგონება ჰეინეზე, წიგნი დაახლოვებით გამოვა 200 გვერდამდე მოზრდილი ზომის, დაიბეჭდება კარგს ქაღალდზე; ყოველივე ღონეა მიღებული, რომ გამოიცეს შნოიანად და ეღირება **60** კაპ. ხელის მომწერლებისათვის, ხოლო არა ხელის მომწერლებისათვის დაბეჭდვის შემდეგ წიგნი ეღირება ერთი მანეთი.

წიგნი ხელის მომწერლებს დაურიგდება არა უგვიანეს მაისის შუა რიცხვამდე.

ვინც ისურვებს ეს წიგნი მიიღოს მშვენიერს ყდაში იმან ეხლავე უნდა შემოიტანოს ყდის ფასად 40 კაპ. ვინც ისურვებს კვიტანციების გავრცელებას და დახმარებას, ვთხოვთ მოგვმართონ შემდეგის ადრესით:

თბილისი, ველიამინოვის ქუჩა, № 6 ბარ. თ. კილაძეს.

## თბილისი, 12 მარტი.

„სახალხოელებს", როგორც თვითონვე გვარწმუნებენ „სიამოვნებით" წაუკითხავთ ჩვენი უკანასკნელი მეთაური წერილი, რადგანაც მასში ვერ დაუნახავთ „ჩვეულებრივი გაბოროტება"(!). არა გვგონია, განსაკუთრებული გრძნობიერების პატრონი უნდა იყვეს კაცი, რომ მიხვდეს, თუ რა „სიამოვნება" იგრძვნეს მათ ჩვენი მოწინავე წერილის წაკითხვის დროს. მაგრამ ჩვენ მაინც ვალდებულად ვსთვლით მოვახსენოთ ჩვენს მოკამათეებს, რომ ტყუილად ჰფიქრობენ დაარწმუნონ მკითხველი საზოგადოება, ვითომც ჩვენ მათთან კამათში რაიმე „ბოროტება" გამოგვეჩინოს. ვისაც თვალყური უდევნებია ჩვენი ლიტერატურული ურთიერთობისა და კამათის ამბისათვის, ის ადვილად თვითონაც ჩვენდა დაუხმარებლადაც, მიხვდება რომ აქ **ნაკლები ბრალი** სწორედ „თემს" ედება.

მაშ დავანებოთ ამას თავი და შევუდგეთ თვით საგნის გამორკვევას!.. ჩვენმა მკითხველმა თვითონ იცის ყველაფერი კარგად...

„სახალხო გაზეთის" 6 მარტის ნომერში მეტად საყურადღებო წერილი დაისტამბა ბ. არჩილ ჯორჯაძისა სათავად-აზნაურო საქმეების შესახებ. წერილის დასაწყისშივე ა. ჯორჯაძე ამბობს:

„თავად-აზნაურთა კრება დარაზმულია ორ ჯგუფად. ერთის შესახებ ამბობენ, რომ იგი კონსერვატული და ანტი-ნაციონალურია, მეორეს ახასიათებენ, როგორც პროგრესიულ-დემოკრატიულ ეროვნულ ნიადაგზე დამყარებულს. „ზაკავკაზიე" და მისი მომხრენი პირველ ბანაკს ეკუთვნიანო, ხოლო „ზაკავკაზსკაია რეჩი" და „თემი" მეორე ბანაკს".

ეს აზრი ბ. ჯორჯაძის ცოტა შესწორებასა და განმარტებას თხოულობს. რომ ორი მებრძოლი ჯგუფი არსებობს, ეს სიმართლეა. სიმართლე არის, რასაკვირველია, აგრეთვე ისიც, რომ თავად-აზნაურულ საქმეების მესვეურთა ორგანო დღეს „ზაკავკაზიეა". მხოლოდ, ჩვენის ფიქრით, შემცდარია ის აზრი, თითქოს „ზაკავკაზსკაია რეჩი" და „თემი" იყვენ სრული გამომხატველი სათავად-აზნაურო ოპოზიციის წადილისა და გულის-ნადებისა, ჩვენ ოპოზიციის დახასიათებას ქვემოდ შევუდგებით. ახლა კი ვიტყვით მხოლოდ, რომ ოპოზიცია არსებობს „ზაკავკაზსკაია რეჩისა" და „თემი"-ს გარეშე. ვერც ერთი მათგანი ვერ ჩაითვლება **სავსებით** ოპოზიციის ორგანოდ. არჩილ ჯორჯაძე უნებლიეთ იმეორებს იმას, რაც მიხ. მაჩაბელი და მისი „ზაკავკაზიე" გაიძახიან. ამათ სურთ მოაჩვენონ მკითხველ საზოგადოებას, თითქო ახლანდელი განხეთქილება თავად-აზნაურობაში იყოს გამოწვეული ორი პირის მიერ, რომელნიც იმ ორ გამოცემას უდგიან სათავეში. ასე დაყენება საკითხისა, რა თქმა უნდა, ხელსაყრელია ბ. მიხ. მაჩაბლის და მის დამქაშებისათვის. მაგრამ ეს ასე არ არის. განხეთქილება უფრო ძლიერია, ვიდრე ეს ჰგონია ბ. ჯორჯაძეს. მართლაც, ორი-სამი კაცისაგან, რომ ყოფილიყო შემდგარი ოპოზიცია, განა დასჭირდებოდათ ბ.ბ. მესვეურებს ასეთი ცდა, ასეთი ძალ-ღონის გამოჩენა მოწინაალმდეგეთა დასაძლევად. საქმე ის არის, რომ მესვეურებმა სახელი მთლად გაიფუჭეს, საერთო საზოგადოებას ვინა სჩივის, თვით თავად-აზნაურობის წრეებშიაც კი. მართალია, ოპოზიცია ერთი და იგივე ელემენტებისაგან არ შესდგება, მაგრამ სამაგიეროდ ყველანი გაერთიანებული არიან ძლიერი სიძულვილით დღევანდელი სათავად-აზნაურო საქმეების მმართველებისადმი ამ უკანასკნელთა არა-საკადრის საქციელთა გამო.

ჩვენი ორგანო, ეს არა ერთხელ გვითქვამს, სრულებით **განზე** სდგას. ჩვენ ვმსჯელობთ სათავად-აზნაურო საქმეებზე, ისე, როგორც ვბაასობთ ხოლმე წერა კითხვის, სასკოლო საზოგადოების თუ სხვა რომელსამე საზოგადო საქმეზე. ჩვენ წოდებაზე არა გვაქვს არასოდეს ლაპარაკი. ჩვენს თვალში სათავად-აზნაურო დაწესებულება მხოლოდ იურიდიულ-ეკონომიური ერთეულია—ერობის სუროგატი. ამიტომაც ჩვენ წოდების **გარეშე** ვიმყოფებით და გარედან გვსურს შესაფერი გავლენა მოვახდინოთ, რომ თავად-აზნაურობის პროგრესიულმა ელემენტებმა, რამდენადაც შესაძლებელია, თავიანთი დაწესებულება ქვეყნის სასარგებლოდ გამოიყენონ. აი რა აზრი აქვს ჩვენს წერილებს და ჩვენს კრიტიკას!..

ჩვენი პოზიცია სწორედ **მესამე პირის პოზიციაა**, რადგანაც არც ჩვენ მივდივართ სათავად-აზნაურო დაწესებულებაში რაიმე თანამდებობის დასაკავებლად და არც სხვას ვაგზავნით. პირიქით, ჩვენ გვრწამს, რომ არც ერთს **ჭეშმარიტს პროგრესისტს** არ შეუძლია წოდებრივ დაწესებულებაში იმსახუროს და მით უფრო ახლანდელ მესვეურებთან ერთად. ამიტომაც ჩვენ ვამხელთ „სახალხოელებს", როდესაც ისინი არაფერს ეუბნებიან თავიანთ ხალხს—გრიგოლ რცხილაძეს და ახალგაზრდა თანამშრომლებს, რომელნიც სადეპუტატო საკრებულოში მსახურებენ. „სახალხო გაზეთი" კი გამოსულა და გვარწმუნებს „ჩემი პოზიცია **მესამე პირის** პოზიციაა, ორივე მხარე ბოროტებად მიმაჩნია და ორივეს ვებრძვიო". მკითხველი ხედავს ახლა, სად ჰმარხია ნამდვილი ბოროტება და როგორ ებრძვის მას „სახალხო გაზეთი". ჩვენ კი არ „ვუმაგრებთ ზურგს ვისმეს", თვით „სახალხო გაზეთი" „ზურგს უმაგრებს" მიხ. მაჩაბელს და თავად-აზნაურობის რეაქციონურ წრეს. ეს დღესავით ცხადია.

სულ სხვაა ბ. არჩილ ჯორჯაძე!.. მხოლოდ მან აღიმაღლა თავის ავტორიტეტული ხმა. ამ პუბლიცისტის პოზიცია სწორედ **მესამე პირის** პოზიციაა და ამიტომ ღირსია ყურადღებისა ყველაფერი ის, რაც მან წარმოსთქვა მმართველ წრისა და ოპოზიციის შესახებ. მის წერილში თავად-აზნაურობის დღევანდელს მეთაურების დახასიათებას მთლად თანავუგრძნობთ. იგი უფრო ჩვენზე შორს მიდის მაგალითად, იგი ამტყუნებს მეთაურებს, რომ ისინი **უკრძალავენ ქართულად** ბაასს კრებაში. ჩვენ ამას ვერ დავწამებთ ბბ. მეთაურებს, მაგრამ რომ ისინი არავითარ ღონეს არ ღებულობენ ხელი შეუწყონ კრებაში ქართულ ბაასს, ეს ცხადია. არც ერთს მათგანს, გარდა ორი-სამი კაცისა, ქართული არ ესმით. მიდრეკილება მეთაურებს ისეთი აქვთ, რომ იახლოვებენ მხოლოდ იმათ, ვინც სამშობლო ენა არ იცის. აი ამიტომაც მათ რუსული ორგანო უფრო აინტერესებთ, ვიდრე ქართული. ოპოზიციის წევრებმა დიაღაც უნდა ყოველივე ღონე იღონონ, რომ სამშობლო ენა გაამეფონ ამ დაწესებულებაში. თუ ჩვენვე მოვუსპობთ სავარჯიშო მოედანს ჩვენს ენას, სხვა ვიღა მიანიჭებს?...

ეს უტყუარი ფაქტი—ქართულ მამულიშვილური გრძნობის სისუსტე—ფრიად თვალსაჩინო დამახასიათებელი თვისებაა დღევანდელი მეთაურებისა. ისინი უფრთხიან მამულიშვილობის გამოჩენას, რომ საფრთხე რამე არ შეხვდესთ...

ამიტომაც ხშირად გარდამეტებულ „ზრდილობას" იჩენენ და საქვეყნო ფულს, რომელსაც ისე უყურებენ როგორც მხოლოდ თავის საკუთრებას, ისეთ რამეებზე ხარჯვენ, რომელსაც ჩვენს სახალხო ეროვნულ საქმესთან არავითარი კავშირი არა აქვს, ამ დროს სახეში აქვთ, რომ სადღაც ამისთანა საქციელს ერთგულებაში ჩამოართმევენ.

ამ აზრებით გაუღენთილებს, რა გასაკვირალია, რომ მოუვიდეთ აზრად დაჰკეტონ ქართული გიმნაზია ან მიჰყიდონ სხვას უცხოს მისი ახალი შენობა, ასე ვაი-ვაგლახით, წვითა და დაგვით აგებული ერთი დაუვიწყარი უანგარო ადამიანის წყალობით!..

განა შეუძლიათ ამათ წარმოიდგინონ ის უჩინარი ძაფები, რომლითაც მიმაგრებულია ეს საქმეები და ბევრი სხვა ქართული ეროვნული საქმე ქართველი ხალხის გულთან?..

რასაკვირველია ისინი ვერ დააფასებენ იმ აზრს, რომელიც უკარნახებს მათ: ნუ მისცემთ შემწეობას „მთავრობის იმ სასწავლებლებს, სადაც ქართული ენა შეზღუდულია"... ამგვარი აზრი მათ შიშსა და კანკალს ჰგვრის. სწორედ ასე დაემართათ ბბ. მესვეურებს, როდესაც შარშანდელ კრებაში ამ საგანზე ჩამოაგდეს ლაპარაკი ოპოზიციის წევრებმა.

დიაღ! ასეთ ხალხის ხელშია დღეს სათავად-აზნაურო საქმეების იღბალი!..

ახლა, ნუ თუ ვისმე უნდა გაუკვირდეს, რომ ამის შემდეგ ამ წოდების წრეში დაიბადოს მრავალი საოპოზიციო ელემენტი?...

რიგიან პრესის მოვალეობას შეადგენს სათუთად მოექცეს ოდნავ დაბადებულ კრიტიკას და სწორი მიმართულება მისცეს მას.

ჩვენი თბილისის ერთად-ერთ **ყოველდღიური** ქართული გაზეთი კი მხოლოდ იმას ემსახურება, რომ ოპოზიცია როგორმე გააწბილოს, პირადობა უკიჟინოს, რომ ამნაირად როგორმე მკითხველ საზოგადოების თვალში დაამციროს. ეს არის განა საზოგადოების სამსახური? ეს არის მხოლოდ მიხ. მაჩაბლის და მისი ამფსონების „ზურგის გამაგრება“ და სხვა არაფერი. „სახალხო გაზეთს“ იმდენად წაართვა ალღოს ალებისუნარი „განგებამ“, რომ ვერც კი ხედავს, ვინ მოსთვლის რამდენი მისი წინანდელი „საზოგადოებრივი მეგობარი“ იმყოფება ამ მისგან ათვალწუნებულ ოპოზიციაში!.. თავის მკითხველებს კი ისე აჩვენებენ, თითქო მთელი ოპოზიცია მარტო მათი ორი „მოწინააღმდეგე“ პირისაგან იყოს შემდგარი.

განა თავისთავის პატივისმცემელი პრესა უნდა უყურებდეს გულ-გრილად, როგორ სვრიან ტალახში პატიოსან ხალხს, საზოგადო სარბიელზე გამოსულს, და საზიზღარ ცილსა სწამებენ?

და აი აკი ვერც მოითმინა ერთმა წარჩინებულმა ქართველ პუბლიცისტთაგანმა და ხმა-მაღლა წარმოსთქვა გულის ნადები. განა მას არ ხვდა იგივე წვლილი, რაც სხვა ჟურნალისტს, რომელმაც კი გაჰბედა და შესაფერი სახელი უწოდა სათავად-აზნაურო საქმეების მეთაურთა საქციელს. დიახ, არ. ჯორჯაძესაც „პირადობა“ დასწამეს: „შენ იმიტომ ლაპარაკობ, რომ გრ. დიასამიძის მეგობარი ხარ, რომელიც შენ გაქებს და შენც იმას აქებო, შენ თავად-აზნაურობის მტერი ხარო და სხვადასხვა“.

რა დროს გარჩევაა, რა დროს ფიქრია, ვინ რა მიზნით ემხრობა ოპოზიციას, ან მმართველ წრეს? „გულში რა უდევს?“— ეს გულში ფათური პატიოსან კალმის მჭერელის მოვალეობას არ შეადგენს. საჭიროა მედგარი იერიში, სიერთოდ მიტანილი იმ წრეზე, სადაც მომზადებულია შეთქმულობა ყოველივე წმინდა და პატიოსან მიზნისა და მისწრაფების დასამხობად. გვერწმუნეთ! ქართველ დემოკრატიულ ინტელიგენციას საფრთხე მოელის!.. ვინც ამას არ ჰხედავს, სჩანს მას თვალებზე ბისტი გადაჰკვრია.

ჩვენ სრულიად ვეთანხმებით ბ. არჩილ ჯორჯაძეს, რომ ოპოზიციის პროგრამა სრულად არ არის ჯერ-ჯერობით გამორკვეული. ის თანდათან ირკვევა... ნუ დაავიწყდება ნურავის, წოდებრივ ნაჭუჭში არც შეიძლება ფართოდ გაშლა ჭეშმარიტ პროგრესიულ წადილისა... ეს სიძნელე ყველა პროგრესიულ მწერალს უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი. იგი უნდა ხელს უწყობდეს ოდნავ გამოხეთქილ „საოპოზიციო ნაკადულს“, რომ მან ნამდვილი ბუნებრივი ეროვნულ-დემოკრატიული ელფერი მიიღოს. ამ მხრით ჩვენ გვეწყინა, რომ ბ. არჩილ ჯორჯაძემ ერთი სიტყვით მაინც არ მოიხსენია, რომ ყველა ის, პროგრამული კათეგორიული მოთხოვნილებანი, მისგან ნაჩვენები, უკვე მოხსენებული გვქონდა ჩვენ „თემში“ წარსულ წელს და ოპოზიციასაც ჰქონდა გათვალისწინებული. გვეწყინა აგრეთვე, რომ ოპოზიციას მიაწერა ისიც, თითქო მან განზრახ შეიყვანა თავის წრეში კახეთის რკინის გზის განსახორციელებელი ფინანსიური გეგმების ავტორები, ამათი მხარე დაიჭირა და მით „კინაღამ საქმის ჩაფუშვებას ხელი შეუწყოო“. გვეწყინა იმიტომ, რომ ეს განმეორებაა მიხ. მაჩაბლისა და მის „ზაკავკაზიეს“ დაჟინებისა. როგორც დაკვირვებული მწერალი ბ. არჩილ ჯორჯაძე უნდა მიმხვდარიყო, რომ ოპოზიცია ცდილობდა მხოლოდ გამოერკვია, რა და რა ფინანსიური წინადადება იყო წარდგენილი საქმის განსახორციელებლად, რომ ამ გზით გამოერკვია, თუ რამდენად ქვეყნის სასარგებლოდ დაბოლოვდა ეს საქმე. ბ. არჩილ ჯორჯაძე ამბობს „კახეთის რკინის გზის საქმე ერთად ერთი კეთილი საქმე არის სადეპუტატო საკრებულოსიო“. მაგრამ ამ საქმეში ყველაზე ნაკლები წილი დღევანდელ მეთაურებს უდევთ. თუ გაკეთებულია ეს საქმე, მხოლოდ წინანდელ მომუშავეთაგან. ახლანდელებმა მხოლოდ ისა ჰქნეს, რომ თავიანთ ყურმოჭრილ მონათა შუა გაანაწილეს თანამდებობის ადგილები და მშრომელ ხალხს ჩამოაშორეს სამუშაო თვით რკინის გზაზე... მაგრამ ამაზე სხვა დროს ვიბაასებთ.

ჩვენ, ჩვენდა თავად, გულ-ახდილად უნდა ვსთქვათ, რომ სრულებით არა გვაქვს არავითარი სურვილი ეს კამათი გავაგრძელოთ. ჩვენ არც პირადობა გველაპარაკებს, არც თავმოყვარეობა. დაე, გამოვიდეს სხვა რომელიმე გამოცემა და მან იკისროს კრიტიკაც და ხელმძღვანელობაც. სათავად-აზნაურო საქმეები ხომ **ერთად-ერთი** საქმე არ არის, რომელსაც უნდა აქცევდეს ყურადღებას ჩვენი პრესა. ჩვენ მოვძებნით სხვა უფრო საყურადღებოს, უფრო მნიშვნელოვან საქმეს.

დაე იკისროს ეს კრიტიკა „სახალხო გაზეთმა“ მხოლოდ ბ. არჩილ ჯორჯაძის მეთაურობით. შეჰკრიბოს ოპოზიციის წევრები, გამართოს თათბირი, გაარჩიოს ნამდვილი წმინდა იდეური ოპოზიციონერები! თორემ დაწუნება სხვისი საქმისა ადვილი საქმეა!

მაგრამ, მოგვიტევეთ, ჩვენ არა გვჯერა, რომ ეს სასარგებლო საქმე „სახალხო გაზეთმა“ იკისროს, რადგანაც არის რაღაც ჯერ-ჯერობით უჩინარი კავშირი, რომელიც მას აერთებს „ზაკავკაზიესა“ და მიხ. მაჩაბელთან. მართლაც, განა შესაძლებელია წარმოიდგინოს ბ. არჩილ ჯორჯაძე, მიხ. მაჩაბლის, გ. ბაგრატიონის და ნიკ. თუმანიშვილის გვერდით მომუშავე? რასაკვირველია არა! ბ. გრიგოლ რცხილაძე კი და ზოგიერთი ახალგაზდა „სახალხოელი“ განაგრძობენ იმათთან ერთად მუშაობას და მჭევრ მეტყველურად სდუმან, როდესაც იმათ ყოვლად ღირსეულ ამხანაგებს ზოგიერთი უღირსი პირები აბეზღებენ და ტალახში სვრიან?!

ნუ თუ ეს სავალალო და სამწუხარო ამბავი არ არის?!.

## ორიოდე სიტყვა პირველ-დაწყებითი სკოლების და მათ მასწავლებელთა შესახებ.

ამ უკანასკნელ წლების დამახასიათებელ გარემოებას, სხვათა შორის, შეადგენს ის, რომ მთავრობა, განსაკუთრებით საერო, თითქოს თავს არ იზოგავს დაბა-სოფლებში მოჰფინოს განათლების შუქი. ეს გავლენა, განსაკუთრებით ჩვენისთანა დაბეჩავებულ ეროვნებისათვის, დიდ შემატებად იქნებოდა ჩასათვლელი, რომ სწორ გზაზე ყოფილიყო შემდგარი განათლების საქმე. მაგრამ სავალალოც სწორედ ის არის, რომ ეს ასე არაა! ავი მხარე ჩვენი პირველ-დაწყებითი სკოლებისა გაცილებით მაღლა სდგას კარგზე. ჩვენ და საუბედუროდ, ჩვენი საზოგადოების უმრავლესობა ჩვეული არაა საქმეს პირდაპირ შეხედოს, საკუთარი დაკვირვებითა და გონებით ასწონ-დასწონოს იგი და საჭიროების დროს შესაფერი წამალი გამოძებნოს. ჩვენ უფრო ოპტიმისტები ვართ და ამიტომაცაა, რომ კარგად მიგვიდის საქმე. ამ ოპტიმისტობის ბრალია, სხვათა შორის, ის გარემოებაც, რომ ხშირად ნამდვილ მოღვაწედ და მუშაკად მიგვაჩნია სრულიად უღირსი, პირები. ჩვენ ხშირად გვსმენია სოფლის მასწავლებელთა შესახებ მრავალი შემამკობელი სიტყვები, მაშინ როდესაც ნამდვილი საქმის გათვალისწინება და დაწვრილებით მათთან გაცნობა სრულ უფლებას გვაძლევს უფრო შესაფერისად მივიჩნიოთ ზოგიერთ მათგანისათვის სახელი „მაწვალებელი“, ვინემ „მასწავლებელი“.

რომელი უწყებაც არ უნდა აიღოთ, სასულიერო თუ საერო, განსაკუთრებით კი პირველი, სანთლით საძებრათ გაგიხდებათ სპეციალურად სამასწავლებლო ცოდნით აღჭურვილი პირები, რომელთაც გათვალისწინებული ჰქონდეთ ყოველივე რაიცა შეეხება საღ აღზრდა-განათლებას ბავშვისას.

ბავშვის აღზრდა ეს ყველა საქმეზე უძნელესია. ვის არ მოეხსენება, რომ საძირკვლის გასკვნას არც-ერთი გონიერი სახლის პატრონი არ ანდობს უბრალო ხელოსანს, არამედ ყოველთვის მოიწვევს ხოლმე გამოცდილ პირს, რადგანაც, თუ კი საძირკველი მრუდეა მთელი შენობის სისწორეც დარღვეული იქნება. ამ საძირკვლის გამსკვნელი ადამიანის სწავლა-აღზრდის საქმეში ვინაა თუ არ სოფლის მასწავლებელი და ნუ თუ ამისათვის აქ უფრო საჭირო არ უნდა იყვეს ნამდვილი განათლებით აღჭურვილი პირი, ვინემ სხვაგან სადმე?!

ჩვენი კურთხეული ქვეყანა-კი ისეთი მასწავლებლებით უფროა მდიდარი, რომელთაც არა თუ სპეციალური ცოდნა არ მოეპოებათ, არამედ უბრალო რიგიანი ბარათის დაწერა არ ეხერხებათ და, რაცა უფრო სასაცილოა, ჯამაგირის მიღების დროს სისწორით ხელის მოწერაც არ ემარჯვებათ. სიმართლე მოითხოვს აქვე აღვნიშნოთ, რომ შედარებით ამ მხრით ცოტა უკეთაა დაყენებული საქმე საერო უწყებაში, მაგრამ ეს არა შველის საქმეს. არავისთვის ახალი ამბავი არ არის, რომ სკოლა უნდა ემსახურებოდეს პრაქტიკულ მიზანს, ე. ი. იძლეოდეს ცხოვრებაში გამოსადეგ ცოდნას. ჩვენ სკოლებში კი რას ვხედავთ?! ზოგჯერ ხუთი-ექვსი წელიწადი დაყიალობს ბავშვი სკოლაში და შედეგად ვხედავთ მის სრულ უვიცობას წერა-კითხვაშიაც კი, რომ სხვა ყველაფერს თავი დავანებოთ.

ჩვენში ყველაფერს პროგრამის უვარგისობას აბრალებენ რასაკვირველია, პროგრამას დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლის საქმეში, მაგრამ ნუ თუ უარეს პროგრამის დროსაც არ შეუძლია ნამდვილ მასწავლებელს, რომ წერა-კითხვა მაინც ასწავლოს მოწაფეს?!

როგორც სწავლის მხრითაა ჩვენი სკოლები დაქვეითებული, ისე აღზრდის მხრითაც და ეს ისევ იმიტომ, რომ მათ არა ჰყავთ ისეთი ხელმძღვანელები, რომელთაც შესისხლხორცებული ჰქონდეს ბავშვის ფსიხიკა, რომ შესაფერი გავლენა იქონიოს მოწაფის მრავალ-ფეროვან არსებაზე. ყოველივე ამას შედეგად მოსდევს ის, რომ გვეზრდება დამახინჯებული თაობა, საღ-ჰუმანიურ სახეს და პრაქტიკულ ცოდნას მოკლებული.

ყოველივე ამის თავიდან ასაცილებლად, ჩემის აზრით, ფრიად საჭიროა ყოველი ღონე იქმნეს მიღებული სამასწავლებლო კანდიდატთა ჯეროვნად მომზადებისათვის ჩვენ არ უნდა ვსჯერდებოდეთ იმ უმნიშვნელო ფარატინა ქაღალდებს, რომელსაც იძენენ ხოლმე სამოქალაქო თუ სასულიერო სასწავლებლიდან სამასწავლებლოდ „გამზადებული“ პირები. მასწავლებლობისა კი იმდენი გაეგებათ ამათ, რამდენიც ჩვენ ჩინური ენისა. ამ მიზნით აუცილებლად საჭიროა რაც შეიძლება რიგიანი სამასწავლებლო სემინარიები მოეწყოს, სადაც საღ პედაგოგიურ მეთოდების შესწავლის გარდა, ჯეროვანი ადგილი უნდა ჰქონდეს დათმობილი ბავშვის ფსიხიკის და მასზე ზემოქმედების საშუალებათა შესწავლას.

სასიხარულო და სანეტარო მხოლოდ მაშინაა პირველ დაწყებითი სკოლების გამრავლება, თუ ნამდვილი მსახური აღმოუჩნდება მათ. მაშასადამე, ჩვენი უმთავრესი აზრი და მეცადინეობა იქითკენ უნდა იქმნეს მიქცეული, რომ რაც შეიძლება მეტი საშუალებანი შევქმნათ მასწავლებელთა კონტინგენტის ჯეროვან მოსამზადებლად, თუ არ გვინდა რომ ჩვენი მომავალი თაობა სრულებით გადაგვარდეს.

სოკოებივით მრავლდება სხვადასხვა ტიპის სასწავლებლები, ხოლო ზემორე აღნიშნულ მიზნისათვის სრულიად არა ვზრუნავთ.

შესაძლოა ამ წერილმა ზოგი სოფლის მასწავლებელთაგანი გააწიწმატოს, მაგრამ სიმართლის წინაშე თვალის ახვევა ძნელია: მათი შესამჩნევი ნაწილის სრულ უვარგისობას სამასწავლებლო ასპარეზზე ქვებიც კი ღაღადებენ!..

**ლიაძე.**

## სიზმრის მეგობარი

ლურჯი თვალი ლანდს აცურებს—ჩემის სახის მსგავსს ხატებას—
როს ფერს ჰკარგავს, მის ნორჩ გულში სევდა ლამობს მომატებას.
ნაღვლობს ამ დროს, ნაღვლობს მწარედ, ენა მშრალობს მოუბარი;
იტანჯება, თვისკენ მიხმობს ჩემი სიზმრის მეგობარი.
სპეტაკ ცრემლით იქარგება სევდით სავსე მისი მზერა;
თავს მაყრდნობს და მოთქმით სტირის, ამბობს: შენი არა მჯერა!..

ბაგე ნაზი—ვარდად შლილი, ღვთაებრივი ნაკვთის რხევა;
წაბლისფერი თმა-ნაწნავი, ღიმილთაგან შუქის ფრქვევა,—
როს ფხიზლდება—ეფარება, ვსჭვრეტ უდაბნოს გულშემზარავს:
ბნელი მოდის, ბნელი მოჰქრის და დუმილით სულსა ჰფარავს.
ამ დროს ვეძებ ჩემს მეგობარს, მენატრება მისი მზერა;
იგი სიზმრად განუყრელი, ცხადად ვნახო—არა მჯერა!..

ბერნი. **ა. შანშიაშვილი.**

## ღამე მთებში...

ღამე მთებში... დაბურული კლდეები ისვრიან მწუხარ ჩრდილებს, რომელნიც ყრუ სიჩუმეში უდარაჯებენ ჩასულ მზეთა საფლავებს, იქ გაყუჩებულ ხევ-ხუვებში.. მყუდროება სუფევს დაღლეჯილ კლდეებში, პირველი ვარსკვლავები ქსოვენ სევდიან ფიქრებს, მთვარის დისკო, ლურჯ-აბრეშუმა ცის მოკიაფე წერტილი ჩვეულებრივ ღიმილით იყურება, ეტმასნება შტოებს, რომელზედაც მარგალიტათ დაყრილი ღამის ცრემლები—კიაფებს, ფერადდება..

და ამ სურათში იბადება განცდა სულიერი.. მთა დიდებული, ამაყი მთა!

ვდგევარ და მსურს შევიგნო საიდუმლო მისი, საკაცობრიო სვედის სტრიქონებს ვკითხულობ მის დასერილ, დაღრეჯილ მიწის ნაოჭებზედ...

მაგრამ რად მინდა ვიცოდე, თუ რისგან შესდგები, რათ მინდა ვიცოდე საძირკველი შენი არსების.. უფრო ლამაზი და მომხიბლავი ხარ—მიუწვდომელი და გამოუცნობი.

მახვევია ბადე მისი სიჩუმის. სული ურთდება დასავალს...

იყო მრავალი რამ საერთო!.. მთების ღამისა და ჩემს შორის. მეგონა, რომ ასე მეგობრულათ არასოდეს არ დამყურებდა ტყვის ფერი ცა, ვარსკვლავთ ხომლით მოჭედილი.

დიდხანს, დიდხანს შევყურებდი გარინდებულ ცის სამთავროს, ვსუნთქავდი მის სიჩუმეს, სიმშვიდეს და ვრწმუნდებოდი, რომ ვერავითარი ზღვის ღელვა, ქალაქის ფუსფუსი ვერ დაარღვევდა მის ქალწულებრივ სიმშვიდეს და ბრძნულ სიდინჯეს.

მთვარის დისკო, მოვერცხლილი ნამგალი—ისეთი სასოებით მეალერსება, თითქო უხილავ ღმერთის სხივს მპირდებოდეს...

ვარსებობ მე—თუ ეს მთა? იგი არსებობს ჩემით—თუ მე მით?

არსებობს თუ არა ჩემს გარეშე ცხოვრება? არსებობს ღმერთი?

ჰო, სრულიად არ მინდა ვიცოდე სახელი მისი, არც სახე მისი... მხოლოდ არსებობს კი? და სად? მტვერია მიწიერი ცხოვრება მასთან შედარებით?

ყველაფერს შემიძლია მივსცე დამტკიცება, გამოუცნო დასაწყისი, გარდა სიტყვა „ღმერთისა“!.. მაგრამ თუ არ არსებობს?!

მაშინ მიწა—აი თვით ღმერთი... აი, უხილავ ღმერთის სახელი!..

ღამე მთებში... კერპად დაგსვი მთა, რომელზედაც ჩემი ობოლი იალქანი ნახულობდა მყუდრო სადგომს, თავ-შესაფარს. ჩემი გულის ფიცარი—ეს ნაგლეჯია შენი დაღრეჯილ მიწის, რომელშიაც ჩარჩა ჩაბნეული თესლი შენი სევდისა და რომელსაც ეგრე სასოებით ზრდის ჩემი სისხლის წვეთები ..

შეიძლება შენ ჩემი სიკვდილის შემდეგ აღარც კი იარსებო, რადგან, მხოლოდ, ჩემი სულისათვის იყავ გაჩენილი.

* *
*

მყუდროება სუფევს დაღრეჯილ კლდეებში. მოკიაფე ვარსკვლავები აქსოვენ სევდიან ფიქრებს. ცა, ლაჟვარდი ცა მოვერცხლილ კალთას აფარებს გულჩახვეულ მთას...

ეჰ, რომ შემეძლოს ერთ ჰანგად შევკრიბო, შევწნა ჩემი სიყვარული მიწისადმი, სიცოცხლისადმი!..ღამე მთებში...

**სერ. კლდიაშვილი.**

## საისტორიო საზოგადოებაში.

ორშაბათს, 5 მარტს, თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში შესდგა ჩვეულებრივი საზოგადო კრება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა ექვთ. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. კრება დაიწყო საღამოს 8-ნახ. პირველად კრებამ მოისმინა წინანდელი კრების ოქმი. შემდეგ დ. კარიჭაშვილმა წაიკითხა მოხსენება ქართველების წარმართულ ღმერთების შესახებ, რომელნიც მოხსენებულია ქართლის ცხოვრებაში. რეფერენტი ვრცლად

# უდანაშაულო მსხვერპლი

მდიდრად აგებულ აღმოსავლეთის საუცხოვო გეგმით და ხელოვნებით მარმარილოს სასახლის აივნიდან გაჰყურებდა ლაჟვარდ ცის დასავალს სამეფო ტახტზე ახლად ასული სპარსეთის ულმობელი მრისხანე მამად-ხანი, რომლის ხსენება თავ-ზარსა სცემდა არამც თუ მარტო მის ქვეშევრდომთ, არამედ მახლობელ სამეფოებსაც. რამ აიძულა ეს მტარვალი, ასეთი დაუძინებელი მტერი გამხდარიყო მთელი კაცობრიობისა? შურის ძიებას და ბოროტებას, რომლითაც იყო მოცული მამად-ხანის არსება, ისე გადაეგვარებინა იგი, რომ მუდამ ჟამს მზად იყო მოესპო ქვეყანაზედ მთელი კაცობრიობა და მასთან ერთად სიყვარულიც. მისი დაუმშვიდებელი და გაუცინარი სახე, პატარა ტანი, შავად გამხმარი პირისახე ტუჩებ-გადმობრუნებული, ჩაცვინული და დაჭყეტილი თვალები, მის დამნახავს რაღაც ზიზღს უბადებდა და თვით მამად-ხანს ადამიანის არა მსგავს ქმნილებად ჰქმნიდა.

— ოჰ, გაფურჩქვნილო, ყოველივე სიკეთით და სიმდიდრით დაჯილდოვებულო და შემკულო, მრავალ ფეროვანო, კაცის გულის მომჯადოვებელო, მომხიბლავო, დიდებულო და უმანკო ბუნებავ, რამ შეგახამა დ დაგატკბო ჩემს სატანჯველად? სადა ვპოვო მე სიყვარული და სიმშვიდე, რომ მით მეც დავსტკბე, დავივიწყო კვნესა და კვეთება ჩემი სულისა? რად დამბადე, გამჩენელო, ამგვარ ტანჯვისთვის და მომისპე სიყვარული ამა ქვეყნისა?

— მე გული მიკვდება, მწარედ ვიტანჯები, ამბობდა მრისხანე მამად-ხანი, რომ კაცობრიობა სარგებლობს სიყვარულით, ნეტარი და ნაზი ქმნილებით. მე კი, მე, რა ვარ, როდესაც სიყვარულის ტალღები გულში მცემენ და თვით გული არასოდეს არ კმაყოფილდება. აღვსილია იგი გრძნობით, სიყვარულით და ეს გრძნობა ჩემთვის ამაოა, ტყუილ-უბრალო, უმნიშვნელო, უნუგეშო, უნაყოფო. რად მიღირდა მე, ქვეყნის მბრძანებელს, ჩემს ჰარამხანაში მყოლოდა ეს მშვენიერება, ეს ამპარტავნება, ძვირფასი ანდამატი და დავმტკბარიყავი ამის სიმშვენივრით და სიყვარულით! მე შევიქმნებოდი ამის მონა და ვანაცვალებდი ჩემს სიმდიდრეს, ძლიერებას და სიამაყეს! ოდეს დავბრუნდებოდი ძლევის დროშით და დიდებით ჩემს სამეფოში, მაშინ ანნა-ხანუმ წინ მომეგებებოდა, მივიკრავდი მის ბროლის მკერდს გულზე, სიცოცხლის ნექტარივით დამივლიდა მისი სიყვარული ძვალ-რბილში და განმიახლებდა ბრძოლისაგან მოღლილ-მოქანცულს ძალ-ღონეს. მე ვიქნებოდი მაშინ ბედნიერზე უბედნიერესი და ძლევა-მოსილზე ძლევა-მოსილი. მე ვიქნებოდი კმაყოფილი ამა სოფლის ყოველივე ბედნიერებით, ამას დაემატებოდა ზედ ანნა-ხანუმისაგან ჩემი მემკვიდრის შობა, რომელიც ჩემს შემდეგ გაძლიერდებოდა და შეიქმნებოდა ერთ უძლიერესს მეფედ. ეხლა მე რას წარმოვადგენ? არარაობას. მომწყურდა, პირი კი არა მაქვს წყურვილი მოვიკლა, მე ვარ ცოცხალი, მაგრამ უსულო, რომელსაც არ ძალ-მიძს ცხოვრება წარმოვიდგინო. მე ვარ უნაყოფო ხე, რომელიც უნდა მოიჭრას და ცეცხლს დაედვას, მე ვარ გამოუსადეგარი ჭურჭელი, რომელსაც არარა წარმოსდინდება. ჩემი შთამომავლობა ჩემ სიკვდილის შემდეგ იქნება დავიწყებული და აღგვილი პირისაგან ქვეყნისა. მაშ რად მინდა ეს დიდება და ძლიერება, როდესაც ალა-მამად-ხანს, ამ ქვეყნიერ უძლიერესს, მთელი ირანის მბრძანებელს, არ შემიძლიან წარმოვადგინო შთამომავლობა.

— ოჰ, ჯალათო და დაუნდობელო ნადირ-შაჰ, რად მომისპე მე სიცოცხლე და კაცობრიობა, რათ მომხამე ჩემი ცხოვრება და ყმაწვილკაცობა. არ გაღირსოს შენ ალლაჰმა იმ ქვეყანას მოსვენება და ბედნიერება, დაიტანჯე ისე, როგორც მე ვიტანჯები ამ დიდებაში, ამ ცხოვრებაში. ამას ამბობდა მამად-ხანი, როდესაც უმზერდა იგი თავის სასახლიდგან იდაყვ-დაყრდნობილს ფანჯარაზე. ტურფა და კეკლუცს ანნა-ხანუმს, თავის ვეზირის ქალს, რომელიც მარმარილოს ქანდაკებას მიაგავდა. მისი მომხიბლავი შავი თვალები მორევივით ტრიალებდენ და აჯადოვებდენ მის მჭვრეტს მრისხანე შაჰს. მღელვარებამ მთლად მოიცვა მამად-ხანის არსება: მას ყელში სისხლი ეგუბებოდა, სული ეხუთებოდა და ჯავრისაგან ლამის გული შუაზე უსკდებოდა. მას თვალ-წინ წარმოუდგა თავისი წარსული; ნადირ-შაჰის ბრძანებით თავისი დაკოდვა. მან თავი ვეღარ შეიკავა, ფეხზე წამოვარდა და აივანზე გაჯავრებულ-გაბოროტებულმა ხშირი მიმოსვლა და ბუტბუტი იწყო.

-- ოჰ, მტარვალო, რით გადაგიხადო ეს ყოველივე, რით ვაგრძნობინო შენს სხეულს და დამიწებულ ძვლებს, რომ მე ვიტანჯები. მამად-ხანი შესდგა ერთ ალაგას და დააშტერა თვალები იატაკს. დიდხანს იდგა ასე გაჩერებული, ბოლოს თავი მაღლა აიღო, შუბლზე თითი მიიდო და თითქოს კიდეც გაიღიმა.

— ჰო, მოვიგონე მე ერთი ღონისძიება, რომლითაც თუ სრულებით არა, ცოტა მაინც შვება მიეცემა ნადირ-შახისაგან დაკოდილს ჩემს გულს.

— ჰაჯი-რაგიმ, დაუძახა მან მრისხანედ კარის-კაცთა უფროსს.

უფროსი უცებ მის წინ გაჩნდა.

— რას მიბრძანებ, დიდებულო შაჰინშაჰ?

— ეხლავ შეკრიბე კარის კაცნი და გაეცი ბრძანება, რომ მოსთხარონ ნადირ-შაჰის სამარე, ჩაჰყარონ ერთ ტომარაში მისი ძვლები და აქ, ამ ჩემ კიბის ჩასავალში ჩემს თვალ-წინ ჩაჰყარონ მიწაში, რომ არავისი, ჩემთან მომავალისა, ფეხი არ ასცდეს მის გაქელვას.

ამ სიტყვებს ამბობდა მამად-ხანი ისეთი მრისხანებით, რომ სიბრაზისაგან მთლად კანკალებდა. ამ გვარმა მოულოდნელმა ბრძანებამ შაჰისამ ჰაჯი-რახიმი გააკვირვა, მაგრამ მას მოაგონდა მამად-ხანის დასახიჩრება ნადირ-შაჰისაგან. რომ დაემშვიდებინა მრისხანე შაჰი, მან მოწიწებით და თაყვანის ცემით მოახსენა·

— დიდებულო და უძლეველო შაჰინშაჰო, ბრძანება შენი ახლავე აღსრულდება. თაყვანი სცა მრისხანე შაჰს და გაემართა კარის კაცებთან ბრძანების აღსასრულებლად.

— ეხლა კი თითქოს დამშვიდდა ჩემი გული: მე გავქელავ მუდამ დღე ფეხით იმ მძოვრის მიწაში დამარხულ ძვლებს, ზედ დავაფურთხებ და შევაგინებ, მაგრამ მე ამითი არ დავკმაყოფილდები: მე უნდა მოვსპო მთელი ქვეყანა, კაცობრიობა, რომელიც არ წინაღუდგა იმ მტარვალს ნადირ-შაჰს, როდესაც იგი მე მკლავდა. მე უნდა გავილაშქრო მთელ კაცობრიობაზე, მოვსპო და ჩავსთქა იგი, დედამიწის გაუმაძღარ გულში. მაშინ მე ვიქნები ქვეყანაზედ ერთად-ერთი და სიყვარულიც ალარსად იქნება. ამ ფიქრებით გატაცებული მამად-ხანი მიესვენა თავის სავარძელზედ და მოსვენებას თავი მისცა. მისი ძილი არც მოსვენებას და არც ღიმილს მიაგავდა.

ამ დროს შემოვიდა ფეხ-აკრეფით კარის კაცი. მამად-ხანი ფიცხლავ ფეხზე წამოხტა და შეჰყვირა:

— რა გინდა რომ ამ დროსაც მოსვენებას არ მაძლევ?

— მომიტევეთ, მეფეთ-მეფეო, დაუთ-ხანი გახლავთ, თქვენი ვეზირი. დაუთ-ხანის ხსენებამ მამად-ხანი დაამშვიდა. მან შეწყალების ნიშნად კარის კაცს ხელით უჩვენა, რომ გარედ გასულიყო. მამად-ხანის სიყვარულმა ანნა-ხანუმისადმი ხელახლად ფრთა გაშალა. შაჰს თვალ-წინ წარმოუდგა ფანჯარაზე გადმოყრდნობილი უმშვენიერესი ქმნილება და გულმა კვლავ ვინდებურად შეიფრთხიალა მისი მოგონებით და სიყვარულით.

— იქნებ განგებამ ისე მოაწყო, რომ დაუთ-ხანი თვითონ უნდა მოსულიყო ჩემთან! იქნება ბედმა მარგუნა, რომ მისი მოსვლით ჩემი დარდები განვიქარვო,— ამბობდა თავის გულში მამად-ხანი.

— წაღი უთხარ მობრძანდეს, მეფე შინ არის თქო, მიუბრუნდა მამად-ხანი კარის კაცს, რომელიც მოწიწებით შესცქეროდა მკაცრ მბრძანებელს სახეში და პასუხს ელოდა.

— ოჰ, ჩემო საყვარელო მეგობარო დაუთ-ხან, მე მინდოდა მომეწვიე სასაუბროდ და საქმე ისე მოეწყო, რომ შენ თვითონ მოხვედი.

— მე მუდამ მზათა ვარ ვემსახურო დიდებულ შაჰინ-შაჰს თავ-განწირვით, როგორც შეჰფერის მის დიდებულობას, უპასუხა მეფეს ვეზირმა ტკბილად და ქედმოდრეკით.

— ეს სამსახური—განაგრძო მამად-ხანმა, იქნება ჩვენი ერთობა, მეგობრობა, ძმობა და საუკუნოთ შეკავშირება. დღეის შემდეგ მე და შენ, ჩემო ძვირფასო დაუთ-ხან, უნდა გავხდეთ განუყრელი ძმები, ჩვენი შეძლება და დიდება განუყოფელი, საერთო უნდა იყოს, პირველი მე და მეორე შენ უნდა იყო მთელი ირანის მბრძანებელი! ეს მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც შენი ასული ანნა-ხანუმ გახდება ჩემ ცოლად და დაამშვენებს ჩემს დიდებულ არე-მარეს! მე შევიქმნები მაშინ მისი მონა და მორჩილი! მოგწონს, თუ არა, მეგობარო, ჩემი წადილი.

დაუთ-ხანს მეხივით დაატყდა შაჰის ამგვარი სურვილი და წინადადება. მას უნდოდა თავის თანხმობა განეცხადებინა შაჰისთვის მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი გადასცემდა თავის ქალს შაჰის ამგვარ წადილს და როდესაც ამაზე ანნა-ხანუმიც დასჯერდებოდა. თავის სურვილის განხორციელება დაუთ-ხანს ვერ ძალუძდა: იგი ვერ შეჰკადრებდა ამას მრისხანე მამად-ხანს, რომლის თვალები მშიერ ნადირსავით მას მიმართოდენ და უნდოდათ ამოეკითხათ მის სახეზედ თანხმობა, თუ უარყოფა.

— დიდებულო და უძლეველო შაჰინ-შაჰო, არც მე და არც ჩემი ქალი ღირსნი არა ვართ ამგვარი თქვენი სიყვარულისა და ყურადღებისა—უპასუხა შაჰს სპარსული პირფერობით დაუთ-ხანმა. მამად-ხანმა არ იცოდა როგორ გამოეხატა თავისი გრძნობა, გადაეხვია დაუთ-ხანს და გადაჰკოცნა; გამოიძრო თითიდან ალმასებით და ძვირფასი ქვებით მოჭედილი ბეჭედი და გადასცა მას.

— აი ეს ნიშანი ჩვენი ძმობისა, ერთობისა და სიყვარულისა, გადაეცი შენს ასულს და განუცხადე მას ჩემი სიყვარული. კარგა ხანს ისხდნენ შაჰი და დაუთ-ხანი, თითქოს ერთმანეთის სიყვარულით სტკბებოდენ.

— გმადლობ, მეფეო, რომ ეს ბედნიერება მოანიჭე ჩემს ოჯახს—უთხრა მამად-ხანს თითქოს კმაყოფილმა ვეზირმა.

— დაუთ-ხან,—მოჰკიდა ხელი ვეზირს მამად-ხანმა—გავიდეთ აივანზე, სადაც ბუნება თავისი სიმშვენიერით კაცის გულსა ხიბლავს, ამხიარულებს, დავატკბოთ ჩვენი საერთო სიხარული და ბედნიერება.

ამ სიტყვებთან ერთად მამად-ხანმა აიღო ხელში ძვირფასი თვლებით მოჭედილი თარი, სიმების ჟღერით ხმა-მაღლა იწყო სიმღერა, რომლითაც ქება-დიდებას უძღვნიდა სიყვარულს და სილამაზეს.

მრისხანე მამად-ხანი ამ დროს თითქოს უცებ გადაგვარდა: მისი მოხდენილი მწყობრად თარზედ დამღერა და სიმების ჟღერა მსმენელს გულში რაღაც სიამოვნებას უბადებდა. მამად-ხანის ხმამ და თარზე დაკვრამ მთელი არე-მარე ფეხზე დააყენა, გარშემო მცხოვრებნი მთლად სმენად გადაიქცნენ, ბუნებაც თითქოს

შეხო იმ ქართველ ღმერთების კულტს, რომელნიც ჩვენს მატიანეებშია ცნობილი. ბ. კარიჭაშვილის აზრით, „არმაზი, ზადენი, გაცი, გაიმ“, ყველა ეს ღმერთები არიან ნაშთნი სპარსულ მაზდეიზმისა, რომელმაც, მისი აზრით, მე-3-ე საუკუნიდან მძლავრად მოიკიდა ფეხი ჩვენს ქვეყანაში. ქრისტიანობის გავრცელებამ თანდათან დასცა ცეცხლ-თაყვანისმცემელთა კულტი ამ ჩვენს საქართველოში, მაგრამ ხალხის გადმოცემას დიდხანს ახსოვდა იმ ღმერთთა სახელები, რომელთაც ის ერთ დროს თაყვანსა სცემდა. მემატიანემ ეს ხალხის გადმოცემაში შერჩენილი სახელები წარმართულ ღმერთებისა შეიტანა „ქართლის ცხოვრებაში“. რეფერატმა დიდი კამათი გამოიწვია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს პ. მირიანაშვილმა, ს. გორგაძემ, ი. აბულაძემ, ე. თაყაიშვილმა, ალ. სარაჯიშვილმა და ს. კაკაბაძემ. ს. კაკაბაძემ ის აზრი გამოსთქვა, რომ რეფერატის თეზისების მიღება შეუძლებელია, რადგან ბ-ნ კარიჭაშვილმა ვერ შეასრულა საჭირო მეთოდოლოგიური მოთხოვნილებანი (ქართლის ცხოვრების ცნობების კრიტიკულად განხილვის შესახებ) და ფაქტიურის მხრივაც მრავალი შეცდომა მოუვიდაო. რეფერენტს დაავიწყდა, რომ ქართლის ცხოვრება შედგენილია სირიულ ისტორიულ-ლიტერატურულ თეორიების მიხედვით და ამიტომ ჭკუასთან უფრო ახლოა, წარმართულ ღმერთების გაცისა და გაიმის სახელები სირიულ წყაროებიდან იყვნენ ხელოვნურად გადმოტანილი (ამ აზრისაა პროფ. მარი) მით უმეტეს, რომ ბ. კარიჭაშვილის აზრი საჭირო ფილოლოგიურსა აგრეთვე ისტორიულს საბუთებს მოკლებულიაო. ბ. კარიჭაშვილი თავის უკანასკნელ სიტყვაში გამოესარჩლა თავის გამოკვლევას. საზოგადოებამ მადლობა გამოუცხადა რეფერატისათვის. ეს რეფერატი ჩვენს გაზეთში იქნება დასტამბული. კამათი ძლიერ გაგრძელდა და თორმეტის ნახევარზედ გათავდა.

## პატარა ფელეტონი

### სენსაციური ამბავი.

დღეს დილით შემომიტანეს ერთი წერილი, რომელსაც ეწერა კონვერტზედ: „ფრიად საჩქარო. ბ-ტონ ონავარს“. წერილი უმარკო იყო. ეტყობა ავტორს კარგად სცოდნია, რომ მარკა-დაუკვრელი წერილები ამ ჩვენ კურთხეულ ქვეყანაში უფრო მალე ჰპოულობენ ადრესატებს, ვიდრე მარკიანები. რა გაეწყობოდა გადავიხადე 14 კაპ., გავხსენი სისწრაფით და აი რა ამოვიკითხე: „უძვირფასესო ამხანაგო ონავარო! ვიცი შენი ხასიათის ამბავი. გიყვარს სენსაცია და აი იგემე ერთი ასეთი ამბავი. მე ველარ გავუძელი „სახალხო გაზეთის“ ახალ მიმართულებას. აქამდინ წიჭიერად მიჰყავდა საქმე ცნობილ პუბლიცისტს ბ. ა. ჯაჯანაშვილს. მართალია, ხანდისხან ბეჭდავდა იმისთანა წერილებს, როგორიც მგალო-თად ბ. არჩილ ჯორჯაძის წერილები იყო ნაციონალურ-პროპორციონალურ წარმომადგენლობის შესახებ საქალაქო თვითმმართველობაში, რომ თანახმა თვითონ არ იყო, მაგრამ სამაგიეროდ „თემის რედაქციას“ ატყობინებდა ჩუმად, „სახალხო გაზეთის“ რედაქცია ამ წერილებს არ თანაუგრძნობსო, მაგრამ რა ჰქნას მამამთავარს უარი როგორ უთხრას და ან შენიშვნა რამე როგორ გაუკეთოსო. ახლაც დალოცვილმა ბ. არჩილ ჯორჯაძემ ვერ მოითმინა და მიხ. მაჩაბელს „ზუბრების“ ორგანოს მებაირაღტრეს მისი საკადრისი პასუხი გასცა. ვერ მოვითმინე და ხმა მაღლა წარმოვსთქვი: „ნუ ვაწყენინებთ მიხ. მაჩაბელს, თორემ გრ. რცხილაძეს და ჩვენს პატარ-პატარა გოშია-ფინიებს რომელნიც სულ „ტერიტორზედ“ წკავ-წკავებენ, თვითონ კი თავად-აზნაურობის შოურავების სახით ისედაც გასაწყალებულ დაგაძვალტყავებულ გლეხკაცებს ტყავს აძრობენ, გამოგვირეკავს-მეთქი თავის სამფლობელოდან ისედაც განრისხებულმა არჩ. ჯაჯანაშვილმა მარტო ჩემზედ იყარა ჯავი: „ხმა გაკმინდე, რასაც გიბრძანებენ ის აასრულეო“. მე გული მოვიდა მივჯექი კუთხეში და „უცნობის“ სახელით მივწერე კერძო წერილი ბ. გ. ქიქოძეს, სადაც „თემის“ რედაქტორს ვიხსენიებდი ავად. რაც ჭორი მსმენოდა, სუყველაფერი შიგ მოვაქციე ძალიან კარგად ვიცოდი ბ. ჯაჯანაშვილის ჩვეულება, რომელიც მას გოგოლის პოჩტმეისტერისგან შეეთვისა, ე. ი. კერძო წერილების კითხვის სიყვარული. ვიცოდი ისიც, რომ ჩემს კერძო წერილებს გამოაქვეყნებდა, ზედ ყალბ შესავალსაც მიაწერა ჩემი სახელით, ოღონდ კი „თემის“ რედაქტორი გაეწბილებინა და მით როგორმე გული მოეგო შავრაზმელ მიხ. მაჩაბლისა. მგონი ჩემმა შურის ძიებამ გასჭრა და წერილი, როგორც შევიტყე არჩ. ჯაჯანაშვილს აუღია. თუ გამოაქვეყნებენ იმას, შენც ეს წერილი დასტამბე „თემში“. მართლაც „უცნობის“ წერილში სულ ჭორებია მოყვანილი, თორემ ვინ არ იცის რომ „თემში“ სულ არ დაბეჭდილა აქამდინ არც კ. მაყაშვილის, არც ა. შანშიაშვილის უნიჭოების შესახებ არაფერი. მაშ როგორ უნდა ვისმე ეთქვა, რომ გრ. დიასამიძე უნიჭოებს ეძახის მერე იმათ, ვინც მისი გაზეთის მუდმივ თანამშრომლებათ ითვლებიან. ან კ. მაყაშვილი სატირაში, როგორც უნდა ეცნო თავისი თავი გრ. დიასამიძეს, როდესაც ჩემგან მიღებული ცნობებით მას ეს სატირა ჯერ არ წაუკითხავს და მერე ამ სატირაში, გულახდილად უნდა ვსთქვა, ისევ უფრო ჩვენი „სახალხოელები“ ვიცანი. გიგო რცხილაძენ საქართველოს გაყიდვას „თემის“ რედაქტორი როგორ დასწამებდა, როდესაც ბ. რცხილაძისთვის ჯერ-ჯერობით არავის ჩაუბარებია ჩვენი სამშობლოს სვე-ბედი? მართალია ის საქართველოს ბუმბერაზის მიხ. მაჩაბლის მეგობარია ახლა, რომელიც მას წინად სწამებდა ყველა ავად-აზნაურის ჩამოხრჩობას ჰქადაგებთო, მაგრამ რა ვუყოთ, ქვეყანა ხომ ცვალებადია!.. არჩ. ჯაჯანაშვილზედაც ვერ იტყოდა, რომ მას ჭკუა არა აქვს, რაკი წვერი არ ამოსვლიაო, იმიტომ, რომ მე თვითონ შევნიშნე არჩილ ჯაჯანაშვილს, რომ წვერიც ამოუვიდა, და მისი ჭკუის ნატამალი კი ჯერ-ჯერობით არსად სჩანს...

გწერ ყველა ამას და თუ გამოაქვეყნებენ „უცნობის“ წერილს, შენც ისარგებლე ამ ჩემ უსტარით,—როგორც გსურდეს. შენი მარადის პატივის მცემელი „სახალხო გაზეთის“ თანამშრომელი **შინაური**.

შაბათის ნომერში „სახალხო გაზეთმა“ დასტამბა „უცნობის“ კერძო წერილი და მეც საჭიროდ დავინახე „შინაურის“ წერილის გამოქვეყნება. დაე ყველამ გაიგოს, რა ოინბაზმა და ორპირმა ხალხმა მოიკალათა დღეს ლიტერატურაში...

**ონავარი.**

*) შენიშვნა ასოთ-ამწყობისა. ჩვენმა ამხანაგმა გადმოგვცა საიდუმლოდ: ბ. შინაური ხელახლად დაბრუნებულა „სახალხო გაზეთში“...

## ახალი ამბები

ექიმი მიხ. გედევანიშვილი უკვე შეუდგა ილია ჭავჭავაძის ნაწერების გამოცემას. ამისათვის ცალკე სარედაქციო კომისიაც დაუარსებია, რომელშიაც შედიან წევრად ბ. კიტა აბაშიძე, ივანე ზურაბიშვილი და სხვები. პირველ ნაწილში მოთავსდება ყველა პოეტური და პროზაიკული ნაწერები, აგრეთვე ვრცელი ბიოგრაფია პოეტისა და კრიტიკული წერილი. ჩართული იქნება ამ წიგნს ნახატებიც. პირველი წიგნის ფასი იქნება რვა მანეთი, რომლის შეტანა შესაძლებელია ნაწილ-ნაწილად.

◆ პეტერბურგის უნივერსიტეტთან პროფესორ ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით არსებობს ქართული სამეცნიერო წრე. ეს წრე სთხოვს ყველა ქართველ ლიტერატორებს, საზოგადო მოღვაწეებს და გამომცემლებს უსასყიდლოდ დაუთმონ ყველა თავიანთი გამოცემა და თხზულება, რომელიც შეეხება საქართველოს წარსულსა და აწმყოს.

◆ ქართულ სამეურნეო საზოგადოების ტექნიკურ სექციაში დიდი მუშაობაა. სოფლებიდან მოსდით მრავალი სხვადასხვა შინარსის თხოვნები: ზოგი სკოლის აშენებაში, ზოგი წისქვილის გაკეთებაში, ზოგიც წყლის გაყვანაში სთხოვს სპეციალისტების დახმარებას. ინჟინერ ბურჯანაძის დახმარებით შენდება, ს. საგარეჯოში. სახალხო სახლი, სადაც მოთავსდება თეატრი, წიგნთ-საცავი, სკოლა და აბანო. იგივე ინჟინერი ბურჯანაძე ინჟინერ ვაწაძესთან ერთად შეუდგა წყლის მილის გაყვანას დიღმის მინდორში.

◆ საზღვარ-გარეთ რუსის სოციალდემოკრატებში მოხდა განხეთქილება. ცნობილმა ლეინმა დაარსა ცალკე პარტია, მაგრამ საერთაშორისო სოციალისტურმა ბიურომ რეგისტრაციაში უარი უთხრა, რადგან გ. პლეხანოვს განცხადებაზე ხელი არ ეწერა.

◆ რომის ანარქისტები აცხადებენ, რომ იტალიის მეფის მოკვლის გამზრახველი დალბა—ანარქისტებს არ ეკუთვნისო. ისინი თავის მხრით ჰგმობენ მეფის მოკვლის განზრახვას. ამბობენ დალბა ჭკუასე შერყეულიაო.

◆ გაზეთი „რუსსკოე სლოვოში“ ბერლინიდან და პარიზიდან დასტამბულია მრავალი დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ფრანგული და გერმანული გაზეთები ამტკიცებენ იტალიასა და რუსეთს შორის საიდუმლო ხელშეკრულობის არსებობას. ოსმალოები ძლიან აღელვებულნი არიან რუსეთის საომრად მომზადების შესახებ გავრცელებულ ხმებით. ოსმალეთმა შეაჩერა ურმიაში ჯარების გზავნა.

◆ გერმანიის რეიხსტაგში სოციალისტი შეიდემანი აღარ აარჩიეს ვიცე-პრეზიდენტად. არჩეულნი არიან მარტო ლიბერალი ბურჟუები, თავად-აზნაურობიდან არც ერთი არ მოჰყვა.

◆ საქართველოს ეგზარხოსმა ნება არ დართო, რომ საყოველთაო ფულის შეკრებას შეუდგენ ქალაქ ბაქოს ქართული ეკკლესიის ასაგებად.

◆ სტამბოლში რუსის დესპანად დანიშნეს ბ-ნი გირსი, რომელიც რუმინიის დედა ქალაქ ბუქარესტში იყო ელჩად.

◆ ყვირილაში მოჰკლეს ცნობილი ბოქაული ნიკოლოზ წემსაძე. მკვლელი ვერ შეიპყრეს.

◆ როგორც გაზეთ „რუსკოე სლოვო“ გადმოგვცემს პარიზში სოციალისტები აპირებენ დიდს ფრანგულ—გერმანულ მანიფესტაციას გერმანელ სოციალისტების გამარჯვების გამო რეიხსტაგის არჩევნებზე; საპატიო სტუმრებად მოელიან შეიდემანს და სხვა ცნობილ სოციალისტებს.

◆ ქუთაისში გარდაიცვალა პოეტ მამია გურიელის ძმა თავადი ჯაბა გურიელი, რომელსაც საზოგადოებაში დიდი პატივისცემა და სიყვარული ჰქონდა დამსახურებული. იგი თანაუგრძნობდა საზოგადო საქმეებს.

◆ ქართულ გიმნაზიასთან დაარსდა ქართველ ქალთა კომიტეტი ქ-ნ მარიამ ვახტანგის ასულ ორბელიანის თავმჯდომარეობით, რომელსაც განზრახული აქვს, უფასო სადილები გაუმართოს გიმნაზიის ულარიბესს მოწაფეებს. ძალიან სასიამოვნოა ასეთი საქმე და ვუსურვებთ სრულს წარმატებას.

◆ რედაქციამ მიიღო ჩვენი კრიტიკოსის, კიტა აბაშიძის ახლად დაბეჭდილი წიგნი: „ეტიუდები მე-19-ე საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ. პირველ წიგნში მოთავსებულს აქვს კრიტიკული წერილი ჩვენი მწერლების შესახებ. წიგნი ღირს 70 კაპეიკი და შეიცავს 274 გვერდს.

◆ ლონდონიდან გვწერენ, რომ იქაურ ორიენტალისტთა საზოგადოებას უკვე დაუბეჭდია და გამოუცია ცნობილ ქ-ნ მარჯორი უორდროპის მიერ თარგმნილი „ვეფხის-ტყაოსანი“ ინგლისურ ენაზედ.

◆ სამოსამართლო პალატამ გაზეთ „ბაქოს“ რედაქტორს ბ-ნ ქრ. ვერმიშევს და „სინათლეს“ რედაქტორს ბ-ნ ივ. როსტომაშვილს მიუსაჯა ლიტერატურულ დანაშაულობისათვის სამუდამო გადასახლება ციმბირში, გაზეთ „ხალხის“ რედაქტორს ბ-ნ შაქ. საფაროვს კი—ერთი წლით დაპატიმრება ციხეში. ამათ განზრახვა აქვთ საკასაციო საჩივარი შეიტანონ სენატში.

◆ სომხურ გაზეთ „მშაკის 40 წლის იუბილეის გამო მოსკოვის სომხის საზოგადოება აპირებს რედაქციას საჩუქრად საკუთარი სტამბა გაუმართოს.

◆ სპარსეთის ყოფილ შაჰი ამ ჟამად უკვე ოდესაშია და იქიდან აპირებს ლონდონში წასვლას, სადაც სამუდამოდ დასახლდება.

◆ მთავარ მინისტრს კოკოვცევს შეუთვლია ოქტომბრისტებისათვის, რომ მესამე სათათბიროს გარდაწყვეტილს ყველა კანონ-პროექტებს შევიტან სახელმწიფო საბჭოში მეოთხე სათათბიროს მუშაობის დროსო.

◆ მოსკოვში აპირებენ წარმოადგინონ ოპერა „დემონი“ სომხურ ენაზე.

◆ ფოთის ქალაქის თავი ნიკო ნიკოლაძე ქუთაისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულომ გადააყენა სამსახურიდან. იგი არის მიცემული სამართალში, რადგანაც სენატორი ნეიდგარდტის რევიზიამ აღმოაჩინა, რომ ფოთის ქალაქის თავობის დროს ბ-ნმა ნიკოლაძემ მიიღო ფული ბუნგე და პალაშკოვსკის ამხანაგობისაგან, რომელიც ასრულებდა ფოთის ნავთ-სადგურის გაკეთების საქმეს.

◆ პოლკოვნიკი თავად მიქელაძე, რომელიც თავად დავით ოტიას ძე ნიჟარაძესთან ერთად არჩეული იყო ქუთ. გუბ. მარშლის კანდიდატად გაზ. „კავკაზს“ ატყობინებს დეპეშით მე არ მიმიღია ცნობა ჩემი მარშლად დამტკიცების შესახებ.

◆ დ. ვ. ბეზობრაზოვს, სახელმწიფო ბანკის თბ. კანტორის გამგეს, რომელიც ამ ჟამად პეტერბურგშია, როგორც ხმები დადის, უმაღლეს ადგილს აძლევენ—საფინანსო აგენტობას პარიზში.

◆ ნამესტნიკის თანაშემწე გენერალი ნ. პ. შატილოვი ბათომიდან თბილისს დაბრუნდა.

◆ 7 მარტს, პოლიციას ფერმის ტყეში შეუპყრია ორი კაცი, რომელთაც იარაღი აღმოსჩენიათ. მათი პიროვნება ჯერ არ არის შემოწმებული.

## მოწერილი ამბები.

### ოკრიბის ავ-კარგი.

არა ერთხელ მოგვითავსებია გაზეთის ფურცლებზე აქაური „რამე-რუმე“. ყოველ-დღე ჩემ თვალ-წინ იშლება სულ ახალ-ახალი გასაოცარი სურათები აქაური ცხოვრების სიდუხჭირისა. საჭიროა ამიტომ გულ ახდილად ვიბაასოთ ამაზე. ჩვენი მხარე მეტად ღარიბია, როგორც ქონებრივად, ისე სამჯერ მეტად განათლებით. მიწა ძლიერ უნაყოფოა შედარებით სხვა საქართველოს მხარეებთან. ამისათვის აქ უფრო საჭიროა მეურნეობის სწავლის გავრცელება, სადაც ხელს შეუწყობს აქაურ ხალხის შრომის-მოყვარეობა. ოკრიბის შუა ადგილს ხრესილის სადგური შეადგენს. სადაც დაარსებულია უფასო სამკურნალო, სასოფლო აფთიაქი, უფასო წიგნთსაცავი და სამკითხველო საყვარელ მგოსნის აკაკის სახელობაზე და ახლად დაარსებული სამრევლო სკოლა, რომელშიაც ჯერჯერობით სწავლა არ დაწყებულა. ჩვენში სამკურნალო დიდ სარგებლობას მოუტანდა ხალხს, რომ მისი გამგე ექიმი ნ. შენგელია უფრო ყურადღებით ყოფილიყო. გულწრფელად უნდა მოვიხსენიოთ ის სამდურავი, რომელიც ხალხში გაისმის. ხალხს ეძვირება ექიმის გაწვევა სოფლად. ექიმის წაყვანა ს. ხრესილიდან ცოტა მოშორებით (7—8 ვერსტი) სოფელში ღირს 8—10 მანეთად ავათმყოფის პატრონის ცხენით; ახლო სოფლებში კი (4—5 ვერსტი) 4—6 მანეთად. ჩვენის აზრით, ძნელია, რომ „ოფლით მონაგარი ამდენი ფული“ თითო გასინჯვაში იხადოს გლეხმა. ექიმი ქსენონის დაარსების რიცხვიდან 2 წლის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ დადის კვირაში, ისიც დილის მატარებლით სოფლიდან, საღამოს ქუთაისში წასვლამდე, ე. ი. ათ საათიდან ოთხსაათამდე. თუ სოფლებში წამყვანი (რასაკვირველია ურმით) ვინმე გამოჩნდება, ქსენონში ადგილობრივ გასასინჯავი 30—40 ავათმყოფი მხოლოდ ფერშლის ანაბარა რჩებიან. დედათა სნეულების გასინჯვის დროს, როცა ბევრი ქალს ექიმის დახმარება სჭირდება და ერიაც შენგელიას მიმართავს, ის უარს ეუბნება. მწოლიარე ავათმყოფი ადგილობრივ ოკრიბელნი ძალიან ცოტანი არიან. საწოლები თვით ოკრიბიდანაც ცოტაა დანიშნული—რიცხვით ექვსი და იმათაც იკავებენ სხვა მაზრებიდან მოსულები. უეჭველია, ბ. ექიმს არ ეცოდინება, რომ მისი სამკურნალოს მზარეული თითქო დალალობას ეწევა და აწუხებს მწოლიარე ავათმყოფებს. საჭიროა ყველა ამას მიაქციოს ყურადღება ბ. ექიმმა, თუ სურს სარგებლობა მოუტანოს ხალხს...

**გრ. ელეფთერიძე.**

**ტ. ლანჩხუთი** (გურია). აქ მოინდომეს ამ რამოდენიმე თვის წინად დრამატიული საზოგადოების დაარსება. ამ საქმეს თავის ისტორია აქვს: აზრი ლანჩხუთში დრამატიული საზოგადოების დაარსებისა ორ პირს დაებადა. ამ ორმა პირმა ამ საქმეზე მოსალაპარაკებლად მოიწვია ინტელიგენტთა კრება. კრებაზე ბ. შ. კანდელაკმა წაიკითხა მოხსენება და ხალხს განუმარტა თეატრის მნიშვნელობა. მანვე აღნიშნა ამასთანავე, თუ რა სარგებლობა შეუძლია მოუტანოს ჩვენს კუთხეს ხელოვნების ტაძარმა დღევანდელ დროს. აქვე კრებაზე აირჩიეს 9 კაცი საქმის საწარმოებლად. მათ კრებამ დაავალა დრამატიული საზოგადოების წესდების შემუშავება და დასამტკიცებლად გაგზავნა გუბერნატორთან, შობის უქმეებზე ორი წარმოდგენის გამართვა და სათეატრო შენობის გამოძებნა. 9 კაცი ხშირად იკრიბებოდენ ერთად და ითათბირობდენ თეატრის საქმეზე. სათეატრო შენობის დაქირავება მოინდომეს და ედესასწაულებზე ერთი წარმოდგენა გამართეს. უნდოდათ დროებით ექირავათ კერძო სახლი, მაგრამ აქ ხელი შეუშალა ჩვეულებრივმა ინტრიგობამ ერთ სახლის პატრონს პირობით ეკვრებოდენ. პირობაზე ხელი არ მოაწერა ქ. ცუნუ ჟორდანიამ და ეს საქმე ამის გამო შეფერხდა. საჭიროა ყველაფერი საპირადო უკუაგდონ მესვეურებმა და ჩაბარებული საქმე რაც შეიძლება მალე მოაგვარონ.

**დიოგენი.**

**სოფ. ვაქირი** (კახეთი, სიღნაღის მაზ.) ამას წინად გაზ. „თემში“ და „სახალხო გაზეთში“ იყო დასტამბული, რომ 1907 წ. სოფ. ვაქირმა გამოიწერა სასოფლო-სამეურნეო თანხით შაბიამანი და გოგირდი. მოხსენებული იყო, რომ ეს შაბიამანი და გოგირდი ვაქირმა იყიდა ნაღდ ფულზე და ნაღდადვე გაყიდა მცხოვრებლებზედ, მაგრამ შარშან 11 გიორგობისთვის ყრილობაზე გამოცხადდა, რომ ამ გამოწერილ საქონელში სოფელმა იზარალა 2541 მანეთი. ხალხმა ერთი აურ-ზაური ასტეხა და მოითხოვა ანგარიში. შემდეგ რაღაც მანქანებით ამ ჯამს დააკლდა 400 მან. (?!) ზარალი დარჩა ამის შემდეგ 2141 მანეთი. ამის გამო სოფელმა ამოირჩია მოანგარიშეთ მღვდლები ნიკოლოზ ბარნაბაშვილი, ირაკლი ცინცაძე და აქაური მცხოვრებელი ვანო სიუმაშვილი. უქლისობის წინა დღეებში ამ მოანგარიშე კომისიამ შეჰკრიბა ხალხი და შეუდგა სოფლის მოხელეთა და ნამეტნავად შაბიამან გოგირდის საქმის ანგარიშს. ამ ყრილობაზე ოფიციალურად დაესწრენ მომრიგებელი შუამავალი თავ. ალ. ჯორჯაძე და ბოქაული მიხ. ნასიძე. ჯერ თავდაპირველად რიგი ხვდათ სოფლის ხარჯის ამკრეფ ამორჩეულ პირთა ანგარიშს. აღმოჩნდა, რომ ხარჯის ამკრებ ვანო ნანობაშვილს 480 მ. დათიკო უოხიაშვილს 330 მ., მაგრამ შეიტანა 200 მ. და დაედვა 130 მ. შემდეგ მოანგარიშე კომისია შეუდგა მამასახლის ივანე ნანობაშვილის საქმეს. არ ვიცით კი, რას მივაწეროთ და მომრიგებელმა შუამავალმა წარმოსთქვა, რომ მღვდლებს ნება არა აქვთ ანგარიშების ჩამორთმევის და ვანო სიუმაშვილი სამართალშია მიცემულიო. სიუმაშვილი უწინ მამასახლისად იყო და სოფლის ანგარიშით ვალი დაედვა. ეს საქმე პროკურორამდე მივიდა, მაგრამ გამართლდა. მომრიგებელმა მოსამართლემ ველარ მოითმინა, ნაბრძანდა ეტლში და გაემგზავრა სიღნაღს. ხალხი ძლიერ უკმაყოფილო დარჩა. ვაქირელები სჩივიან: „ჩვენი სოფელი ისეთი სოფელია, რომ ერთი მწიგნობარი კაცი არა გვყავსო და ამისთვის მივანდვეთ ანგარიშის განხილვა მღვდლებს. ახლა მიუმართნიათ საჩივრით თბილისის გუბერნატორისათვის. სოფელს სურს, რომ არჩეულმა მოანგარიშეებმა იანგარიშონ, რადგან ესენი დამოუკიდებლად გამოაშკარავებენ ყველაფერს.

**არ—ვაქირელი.**

---

თავისი ჰარმონიით მიეგება ამ სიხარულეს: სასახლის ბაღში ბულბულთ იწყეს ტკბილი სტვენა. შადრევნებიდან საამოდ ამოჩუხჩუხდენ წყლის ნაკადები, ყვავილთ მოეფინათ საამური სურნელება მთელ მიდამოზე. გაბრწყინვებული მთვარე ზემოდან დაჰნათოდა მდიდრად აგებულს მარმარილოს სასახლეს და რაღაც საარაკო შეხედულებას აძლევდა მას.

— რას ნიშნავს შაჰის მოულოდნელი ამგვარი გამხიარულება? გუშინ, დაძინებულ მკვდრებსაც კი მოსვენებას არ აძლევდა და დღეს, შეხედეთ რას სჩადის?

— ეს უმიზეზო არ იქნება და რაღაცას მოასწავებს ეს ამბავი ამ დროს, როდესაც მას გვერდით უზის დაუთ-ხანი. იქნება ეგ დაკოდილი, კაცობრიობის დაუძინებელი მტერი, ეარშიყება და უახლოვდება აბის უმშვენიერესს ვეზირის ქალს ანნა-ხანუმს! არა, არა ვგონებ რომ დასთანხმდეს ამაზე დაუთ-ხანიც. ვეზირიც რომ დასთანხმდეს ამ წინადადებაზე, ანნა-ხანუმი თავს მოიკლავს და არ იკისრებს ამ შეურაცხყოფას. განა ცოდვა არ იქნება, რომ ანნა-ხანუმის კეკლუცს, უმანკო სახეს, მოელვარე შავს თვალებს და თოვლივით სპეტაკ გულს დაეკონოს და დასტკბეს მამად-ხანი? განა ეს არ იქნება შეგინება, შელახვა, შეურაცხყოფა და დამცირება სილამაზისა?—საუბრობდენ ეზოში შეყრილი კარის-კაცნი.

— რას ბოდავთ, თქვე უგუნურნო, განა ეგ წარმოსადგენია და საფიქრებელი? როდესაც ანნა-ხანუმს თავისი საქმრო დიდი ხანია რაც ამორჩეული ჰყავს, რომელიც მისთვის თავს გასწირავს და არ ჩაუგდებს ხელში მამად-ხანს. ანნა-ხანუმი მხოლოდ დროს ელის, რომ თავისი სურვილი მამას განუცხადოს—უპასუხა ვეზირთან ერთად მისულმა კარის-კაცებს.

ახლად შეღამებული იყო, როდესაც დაუთ-ხანი გამოვიდა შაჰის სასახლიდან. გაბადრულ მთვარეს ნახევარი თავისი სახე ამოეყო ახლო გორებიდან და ელვარებით დაჰნათოდა მთელ მიდამოს. მახლობელ ტყესაც მისძინებოდა, მთვარის შუქზედ, ვერცხლის ფრად მიმხუოდა ვიწრო ღელეში პატარა მდინარე. ახლო ტყიდან მოისმოდა ბულბულის საამური სტვენა. ბუნების ამგვარმა მხიარულებამ ვერ იმოქმედა დაუთ-ხანზე: მისი არსება მთლად შთაენთქა მწარე ფიქრებს. მან ვერც კი იგრძნო რომ სასახლის კარებთან კიდეც მისულიყო. ის დაღონებულ-დამმარებული შევიდა თავის ოთახში და ღონე-მიხდილი დაეშვა ლოგინზე. მისი სულიერი მდგომარეობა მთლად მოეცვაო ორგვარ ფიქრებს: მრისხანე შაჰის დაკმაყოფილებას და თავისი ერთად-ერთი ასულის ანნა-ხანუმის დაღუპვას. მას უცებ ყელში რაღაც მოებჯინა და თითქოს ახრჩობდა, ხელები აუკანკალდა და ოთახში მღელვარებით იწყო მისვლა-მოსვლა.

— არა, არ ჩავიდენ ამ მომაკვდინებელ ცოდვას, არ გავხდები მე მიზეზი ჩემი შვილის უბედურებისა. დაე, ჩემმა მტრებმა შეერთებულის ძალით ჩემზე გამოილაშქრონ, აამხედრონ ჩემზედვე ისედაც გამხეცებული შაჰი. არა, არ გავყიდი ჩემს საყვარელ შვილს ჩემის ბედნიერებისათვის. მის უბედურებაზედ ვერ დავამყარებ ჩემს ბედნიერებას. ღმერთო, შენ მომეც ძალ-ღონე, რომ ღირსეულად ავასრულო ჩემი მშობლიური მოვალეობა და არ გავხდე ქვეყნის სასაცილოდ. მე ვირჩევ სახრჩობელას და არ ვიკისრებ იმ დამცირებას, დაცინვას, რომ ყველა ჩემზედ უთითებდეს ხელს და ამბობდეს: „აი ეს შვილის გამყიდველი, დამღუპველიო“.

ბევრი სულიერი ბრძოლა გამოიარა დაუთ-ხანმა ამ უბედურ ღამეს. ბევრმა მწარე ფიქრებმა გაუელვეს მას თავში. ბოლოს, ღონე-მიხდილს, ღრმად ჩაეძინა. დაუთ-ხანმა არ იცოდა, რა მოხდებოდა იმ ღამეს მის სასახლეში. მან ვერც კი შეამჩნია, რომ მურადი ლანდივით თან დასდევდა და თვალ-ყურს ადევნებდა ყოველივე მის მიძრაობას, როდესაც იგი შაჰთან ერთად აივანზე საუბრობდნენ და მხიარულობდენ. მურადი მიხვდა შაჰის საწადელს და თვითონაც, თავის წადილის განსახორციელებლად, ყოველივე ძალ-ღონე იხმარა. მურადმა მაშინვე მოიხმო საიდუმლოდ თავისი ორი მეგობარი, რომელთანაც წინადვე ჰქონდა მოლაპარაკება ანნა-ხანუმის მოტაცებაზედ, მხოლოდ დროს ელოდა, რომ სისრულეში მოეყვანა თავისი განზრახვა.

— აი, ძმებო,—წარმოსთქვა მათ წინ მდგომმა აღელვებულმა მურადმა, აი ის დრო, რომელსაც ველოდით მე და თქვენ ნეტარებით, დღეს, მხოლოდ დღეს უნდა გადასწყდეს ჩემი და ანნა-ხანუმის ბედიღბალი. დღეს უნდა წავგლიჯოთ ბასრი ბრჭყალებიდან გამხეცებულს შაჰს ანნა-ხანუმი. მაძლევთ ფიცს, გამიწევთ ძმობას, გასწირავთ მართლად ჩემთვის თავს როგორც მპირდებოდით, თუ არა?

— დედამც შეგვერთოს ცოდვად და დიაცის ლეჩაქი თავზე დაგვეხუროს, თუ ყოველივე ჩვენი დაპირება ღირსეულად და ვაჟკაცურად არ ავასრულოთ—სთქვეს ერთხმად ორივე მეგობრებმა და ნიშნად თანხმობისა ყამავებმ იძრეს ხმლები და ჰაერში გააელვარეს.

მაშ გაუმარჯოს ჩვენს ძმობას. ჩვენს მიზანს!—წარმოსთქვა აღტაცებით მურადმა.

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს!—უპასუხეს მეგობრებმა.

შუაღამე კარგად გადასული იყო, როდესაც დაუთ-ხანის სასახლეს სამი მხედარი მიადგა. ერთი უმალ ჩამოშორდა და ფეხ-აკრეფით აიდა სასახლეში. მცველებს თითქოს სალათას ძილით ეძინათ. ჰაერში ისეთი სიჩუმე იყო, რომ ბუზის აფრენასაც კი გაიგებდით. ეს სიჩუმე დაარღვია ორმა ქმნილებამ, რომელნიც ერთმანეთს უსურვაზივით გადახვეოდენ და ფეხ-აკრეფით მიეშურებოდენ იქითკენ, სადაც მხედრები სულ-განაბულნი ელოდენ მათ. ცხენებიც ამ დროს რაღაც ქანდაკებას წააგავდენ. ისინი ერთ ალაგს შეჩერებულიყვენ და რაღაც არა ჩვეულებრივ მოგზაურობასა გრძნობდენ. ესენი მარდად შემოახტენ ცხენებს და გაჰქუსლეს ღამის წყვდიადში შორს დასავლეთისკენ, სადაც ცხვარი და მგელი ერთად დანავარდობდენ, სადაც უმანკო სიყვარული და მომხიბლავი ბუნების სიკეკლუცე ერთმანეთს ჩაჰკონოდენ, სადაც უძლეველ მეფე ერეკლეს მეოხებით სამეფოდან განდევნილი იყო ყოველი სიცრუე, პირფერობა, მატყუვრობა, დაჩაგვრა და შეურაცხყოფა ადამიანის ღირსებისა. მეორე დღეს მთელს თეირანს ელვასავით მოსდო ეს ამბავი. ეხლა კი მიეცათ საშუალება დაუთ-ხანის მტრებს, რომ ყოველივე მისი პირადი ღირსება დაეგმოთ შაჰის წინაშე. შაჰის პატივისცემა მის ამი დღითი-დღე ისპობოდა და ბოლოს იქამდის გამწვავდა, რომ დაუთ-ხანმა საპყრობილეშიაც კი ამოჰყო თავი. მისი გამოხსნის იმედი აღარავის ჰქონდა. ეს მოულოდნელი დამცირება, სულიერი და ხორციელი ტანჯვა ვერ შესძლო ფუფუნებაში აღზრდილმა და დიდებაში მყოფმა ვეზირმა: მისი სახე, რამდენი ხანიც გადიოდა, ჭლეოდა და ჰქრებოდა. ბევრმა დრომ არ განვლო, რომ სიცოცხლით სავსე ვაჟ-კაცის სხეული გადაიქცა ადამიანის ჩონჩხათ.

მშვენიერი დღე იყო. ბრწყინვალე მზე გულ-უხვად აფრქვევდა თავის სხივებს დედამიწაზე. მთელი თეირანი ფეხზე იდგა და თითქოს სადღესასწაულოდ მოეყარა ხალხს თავი დაუთ-ხანის სასახლის წინ. უცებ გამოჩნდა მუსულმანთა სამღვდელოება, რომელიც წინ მოუძღოდა ძვირფასი ფარჩეულობით წაჰგრაგნილ საკაცეზედ მდებარე უსულო გვამს დაუთ-ხანისას. მიასვენებდენ მას საუკუნო განსასვენებლად. მრისხანე შაჰიც უმრავლესი მეომარით გაემართა გურჯისტანისკენ, რომ მთლად მოესპო ქვეყანაზე მისი არსებობა და მასთან ერთად სასტიკად დაესაჯა მურადი და მისი სატრფოც...

**გ. ფ—ლი.**

# სქესის პრობლემა

## ცხოვრებასა და ლიტერატურაში.

V

ცხოვრება იშლება წინააღმდეგობაში და მიდის წინააღმდეგობის გზით *). ცხოვრების განვითარება-წინააღმდეგობათა განვითირებაა. ყოველ სინტეზისს ლოღიკური აუცილებლობით მოჰყვება ანტიტეზისი. ყოველ დადებით მოვლენას უარყოფითი და აი იგივე ობიექტიური მიზეზები, რომელნიც სექსუალურ ტენდენციებს ამტკიცებენ ცხოვრებაში და ხელოვნებაში, რომელნიც ადამიანის სულს სქესობრივ ინსტინქტს უმორჩილებენ,— იგივე ობიექტიური მიზეზები, ვიმეორებთ, ჰქმნიან სრულებით წინააღმდეგ ტენდენციას, ანტისექსუალურ ფსიხოლოგიას და ანტისექსუალურ ტიპს. თუ თანამედროვე ეკონომიური ვითარება, თანამედროვე კაპიტალისტური ქალაქი და ქალაქური ცხოვრება მთელი მისი რთული და დახლართული ურთიერთობით, მთელი მისი ცვალებადობით, მღელვარებით და ღრიანცელით; შეხუთული და მოწამლული ატმოსფერით, თავის საბედისწერო კანონებით, ქაოსური შთაბეჭდილებით, პიროვნების დაქვეითებით და გაფასებით, მასიური შრომით და მანქანური წარმოებით,—არღვევს ადამიანის სულიერ და ფიზიკურ სიმართლეს და მის ბუნებას ფსიხოზის, ნერვოზის და ყოველგვარი სენის მსხვერპლად ხდის, აშკარაა ასეთ დაუძლურებულ არსებაში ადვილად იმარჯვებს ძლიერი პირველყოფილი ინსტინქტი სქესისა, მაგრამ აშკარაა ისიც, რომ სქესის ძლევა-მოსილი ბრძანებლობა იწვევს რეაქციას, რომელსაც პასიური ხასიათი აქვს და ხშირად საზიზღროებაში გამოიხატება. სულიერად სუსტი და დაავადებული ინდივიდუუმი გრძნობს სქესის ძლიერებას, მის სტიქიონურ ულმობელობას და მისი არსება იმსჭვალება შიშით. მას ეშინია სქესის, როგორც ველურს ეშინია სტიქიონის და ეს ყრუ შიში ძირიან-ფესვიანად სცვლის მის შინაგან წყობილებას. ის გაურბის სიყვარულს, გაურბის ქალს, გაურბის ოჯახს და ცოლ-ქმრულ კავშირს. ქალი ისახება მის წარმოდგენაში, როგორც სქესის მხიბლავი ძლიერების მატარებელი ქურქელი, როგორც სქესობრივი მაცდურების წარმომადგენელი, როგორც ბოროტების მოციქული. როგორც იმ საშინელი ინსტინქტის გამღიზიანებელი, რომელიც იმონებს მამაკაცის სულს, რომლის წინაშე ამ უკანასკნელს იარაღი დაუყრია და ბრძოლის ქანცი მოლევია. მას ეზიზღება ქალი, როგორც მონას თავის პატრონი და მისი ეშინია, რადგან მას ეშინია სქესობრივი მონობის. მისი სიმშვიდე მარტოობა, გონების ნორმალური მუშაობა, ცხოვრების ჩვეულებრივი მიმდინარეობა მსწრაფლ ირღვევა, ფორიაქდება, როგორც კი მის წინ გაჩნდება მაცდური ძალა, ეშმაკი—ქალი. მას ეშინია და გაურბის ამ სქესის სახით მოვლინებულ სატანას. ყველაფერი ეს კონკრეტულად გამოიხატება ქალისადმი სიძულვილში. ეს მოვლენა აგრეთვე ერთ უმთავრეს ჰანგად გადაქცეულა ხელოვნებაში, ლიტერატურაში და ამ ბოლო დროს ფილოსოფიაშიც. ოტო ვეინინგერის „სქესი და ხასიათი"—ეს ფილოსოფიური გამოხატულება და დაფუძნებაა ამ მოვლენისა. სტრინბერგი კი მამამთავრად უნდა ჩაითვალოს იმ ლიტერატურულ მიმართულების, რომელიც ასეთ სქესობრივ მძულვარებით არის გამსჭვალული და რომელიც ქალის სახელს ანათემით მოიხსენიებს. სტრინბერგი სწორედ იდეოლოგია ამ სოციალურ-ფსიხოლოგიური მოვლენისა. ყველაზე ხმა მაღლა და ყველაზე მეტი მრისხანებით ის ღაღადებს ქალის წინააღმდეგ თანამედროვე ლიტერატურაში. ბნელი ფერადებით გვისურათებს ის ქალის სახეს და ლამობს მის წინააღმდეგ მთელი ქვეყანა აამხედროს. მაგრამ ის მაინც ხელმძღვანელობს ობიექტიური სიმართლით და უპირდაპირებს ერთი მხრით. ქალის სატანურ ძლიერებას და ბოროტებას და მეორე მხრით მამაკაცის უძლურებას და დაჩაგრულობას. ის გვეუბნება: ქალი ბოროტებაა, სილამაზეში და მხიბლავ გრძნობაში გამოხატული. იგი მოსისხლე მტერია მამაკაცის, რომლის არსებას ის თვისი ვნებათა ქსელით ხლართავს და ატყვევებს. მამაკაცი კი ეს თვით სიკეთე და სათნოებაა, მაგრამ სუსტი და ტანჯული. სწორეთ ასეთი აზრი აქვს გატარებული სტრინბერგს „სულელის აღსარებაში" აქ დაპირდაპირებულია ორივე სქესის წარმომადგენელნი—კაცი და ქალი, ქმარი და ცოლი და მათ შორის სწარმოებს ბრძოლა, ბრძოლა დაუზოგველი, მტრობით და შურისძიებით გამსჭვალული. ქალის წარმტაც მშვენიერებას მოუხიბლავს და მოუჯადოვებია მამაკაცის არსება, მისი სხეული, მისი გული. გაუხდია იგი მონათ და ურგუნებია მისთვის მრავალი შეურაცყოფა და დამცირება. მაგრამ უძლურ, დამონებულ სხეულში იღვიძებს სულიერი პროტესტი და სინიდისის ქენჯნა და ქმარი ისახავს მიზნათ შურისძიებას. მტრული განძრახვით შეპყრობილი იგი უცხადებს ბრძოლას თავის ცოლს... სიცრუე, საპროსტიტუციო ტემპერამენტი, შურიანობა, ლესბოსური სიყვარული, ბოროტი და მკაცრი ხასიათი, ალკოჰოლისადმი ტრფიალი და მრავალი სხვა ნაკლი ამკობს ქალის სურათს, რომელსაც გვიხატავს სტრინბერგი „სულელის აღსარებაში". ქალი საზოგადოდ არაზნეობრივი არსებაა. ქალი განხორციელებული ბოროტებაა ქვეყნად მოვლენილი; ქალი მტერია მამაკაცის და დაღუპვისაკენ მიეზიდება მას—აი ლოღიკური დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს ამ ნაწარმოებიდან. ბრძოლა ქალის წინააღმდეგ! აი ლოზუნგი, რომელსაც გადმოისვრის სტრინბერგი ჩვენსკენ, მამაკაცებისაკენ. ეს არის დედა აზრი, რომელიც წითელი ზოლივით გატარებულია მთელ მის შემოქმედებაში და რომელსაც ის სხვადასხვა სახით გამოხატავს. ეს არის ლეიტმოტივი მრავალ მის თხზულებათა და მის ხელოვნურ, მხატვრულ განხორციელებას სტრინბერგი სწირავს თავის შესანიშნავ ნიჭს და სულიერ ძალას. ამით აიხსნება ის უსაზღვრო აღტაცება და სიხარული, რომლითაც სტრინბერგი მიეგება ვეინინგერის წიგნის ქვეყნად გამოსვლას. „ვეინინგერმა ძაფზე ააცვა ის მძივები, რომელნიც ჩემ თხზულებებშია გაბნეულიო"—სწერდა მაშინ სტრინბერგი და მართლაც ბევრი რამ არის საერთო სტრინბერგსა და ვეინინგერის შორის. ერთსა და იმავე ძირითად იდეას ერთი გამოსახავს ცხოვრების ფაქტებში, რეალურ სინამდვილეში, სულიერ სხვადასხვა მოვლენაში, მეორე კი ფილოსოფიურ დებულებაში და თეორიულ მსჯელობაში. უმაღლესი წერტილი, უკიდურესი საზღვარი, სადამდიც აღწევს სტრინბერგის სულიერი აღშფოთება ქალის წინაღმდეგ ეს მისი დრამა „მამაა". ვინ არის, ან რა არის ლაურა? იგი პირველ ყოვლისა ქალია. იგი ჯოჯოხეთის პირისაგან წარმოვარდნილი საშინელებაა, ბოროტება და ავსულობა ქალად მოვლენილი. იგი შხამიანი გველია ცივი და სრიალა, რომელიც ჩუმად გესლავს და სწამლავს სისხლს. მან არ იცის შებრალება და ლმობიერება, არც სიკეთე და სათნოება. მან იცის მხოლოდ თავის გველური ეგოიზმი და იგი მიილტვის თავის მიზნისკენ. თავის „მე"-ს, თავის ბატონობის დასამკვიდრებლად. მისთვის არა არის-რა საყვარელი და წმინდა. იგი მზადაა ყოველივე შესწიროს თავის ეგოისტურ იდეალს. მისი სული—ეს ბნელი უფსკრულია, სადაც სიყვარულის ნაპერწკალი მყისვე ჰქრება, სადაც სინათლის შუქი ერთბაშად იხშობა. მას გზაზე ელობება მამა-კაცი მოყვარული, ლმობიერი და სამართლიანი. აქ ბრძოლაა, აქ მეტოქეობაა! და ლაურა გაშმაგებული იბრძვის. სატანური მაცდურობა და ბოროტი ულმობელობა—აი მისი საბრძოლველი იარაღი. ის იმარჯვებს! საბრალო გუსტავს კი შეშლილის პერანგი აცვია და უძლურად ფართხალებს ლაურას კლანჭებში.

გეორგ ბრანდესი ამბობს: „არის რაღაც სამარადისო ამ დრამაში: ნიჭიერი ფსიხოლოგიური აღწერილობა იმ ნაკლთა და ბიწიერებათა, რომელნიც ქალის ბუნებაშია ჩანერგილი. სიძულვილი და აღშფოთება, რომელთაც ეს დრამა წარმოშვეს ისე ძლიერნი არიან, რომ ძალაუნებურათ ყურადღებას და პატივისცემას იწვევენო". ბრანდესი მართალია. ამ დრამის წაკითხვის, ან წარმოდგენის შემდეგ ადამიანი იმსჭვალება იმ გრძნობებით, რომელნიც ამოძრავებდენ თვით სტრინბერგს და მას გულის სიღრმიდან ამოხდება წყევა და კრულვა ქალის მიმართ. დიახ ეს დრამა გენიალურად დაწერილი პროტესტია ქალის წინააღმდეგ, მხურვალე სააგიტაციო მოწოდებაა მშვენიერ სქესთან საბრძოლველად მისი სატანური მეუფეობის დასამხობად. ამ დრამაში და აგრეთვე „სულელის აღსარებაში" ქალი დახასიათებულია, როგორც მეუღლე, როგორც ოჯახის ელემენტი. კონფლიქტი აქ ოჯახურ ნიადაგზე ჩნდება. მაგრამ სტრინბერგი არ კმაყოფილდება მხოლოდ ამით. მას უნდა ყოველ მხრივ განიხილოს ქალის ბუნება, აღწეროს იგი სხვა და სხვა პირობებში და ყველგან თავის ინსტინქტიური მძულვარების დაღი დაჰკრას. ოჯახის სფეროდან „ამხანაგებში" ჩვენ გადავდივართ ხელოვნების სფეროში და აქაც იგივე სურათი იშლება ჩვენ თვალ-წინ. ერთსა და იმავე ხელოვნურ დარგში მუშაობენ ქმარი და ცოლი. მალე მათ შორის თავს იჩენს და თანდან ძლიერდება ქიშპობა, მტრული განწყობილება და, რასაკვირველია, აქაც ყოველ სიტყვაში ავტორის სქესობრივი მძულვარებით აღსავსე გული სძგერს. ამნაირად—თანამედროვე სულიერათ და ხორციელათ ღონე მიხდილი ბურჟუაზიული ინტელიგენცია ორ უკიდურესობაში ვარდება ორ ნაწილად იყოფა სქესის გავლენის ქვეშ თუ ერთი ნაწილი სქესობრივ ინსტინქტების მონა ხდება, სავსებით ემორჩილება სექსუალურ მოთხოვნილებათ. მეორე კი გრძნობს სქესის საშინელ ძალას, მის დამღუპველ მისიას, თავის უძლურებას მის წინაშე და მძულვარებით იმსჭვალება მის წინააღმდეგ. აქედან წარმოსდგება ქალისადმი სიძულვილი და მრავალი არაბუნებრივი საშუალება ბუნებრივი სქესობრივი კავშირის მაგიერ. ამ მიზეზს ზედ ერთვის მეორე არა ნაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი, რითაც კიდევ უფრო ნათლად ირკვევა ეს გასაოცარი მოვლენა თანამედროვე ცხოვრებისა ქალისადმი სიძულვილი. ქალი მხოლოდ ეხლა გამოდის ცხოვრების ასპარეზზე. ეხლა ერევა ის საარსებო ბრძოლაში. ის გამოდის აღჭურვილი მთელი თავის შენახული და დაუხარჯველი ძალ-ღონით—ხანგრძლივი ძილის და უმოქმედობის შემდეგ. სულღლურად საღი და მთელი, მოუღალავი, შრომის და ბრძოლის წყურვილით გამსჭვალული ის არღვევს და სპობს კარჩაკეტილობას. იერიშით მიდის იმ ზღუდეებზე და კედლებზე, რომლითაც მის ქალური ცხოვრება შემოფარგლულია. და აი ის კიდეც იმარჯვებს: იკავებს მეცნიერების კათედრას, მჭერმეტყველების ტრიბუნას, პარლამენტის სავარძელს. საპატიო ადგილს იჭერს ხელოვნების და მეცნიერების ტაძარში უკვე აშენებს ხიდებს, გზებს, სასახლეებს. იკვლევს და ეძიებს ბუნების და საზოგადოების მოვლენათ. მიაქვს განათლების კელაპტარი ყოველი მხრით და ჰფანტავს გონებრივ ბნელს. ის ფეხ და ფეხ მიჰყვება მამა-კაცს და მასთან ხელჩართული ერევა ცხოვრების ფერხულში. ის გამოდის მედგრად, უშიშრად, ამაყურად თავაწეული და კვლავ მომარჯვებული თავის სწორ უფლებობის მოთხოვნილებით. ქიშპობას და კონკურენციას უწევს ქვეყანას და ცხოვრების ბატონს მამა-კაცს. თავის უფლებების დროშას ფართოდ შლის, ძლიერი და მედგარი ხმით აუწყებს ქვეყანას თავის მოვლინების წამს. მტერს ხმალში იწვევს და მომავალს იმედით სავსე თვალით გაჰყურებს.

ამ მიზეზებით, რომელთაც არსებითად ეკონომიური ხასიათი აქვსთ, სავსებით იხსნება, როგორც ვეინინგერის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, ისე სტრინბერგს პოეტური სულისკვეთება ერთნაირად გამსჭვალული ქალის მძულვარებით. ამით იხსნება ის ანტისექსუალური მიმდინარეობა, თანამედროვე მწერლობაში და ხელოვნებაში, რომელიც კაცობრიობის კულტურული ისტორიის ღირს შესანიშნავ და გასაოცარ ფაქტად უნდა ჩაითვალოს. ერთი მხრით ქალი აღჭურვილი სქესობრივი და თანაც სულიერი და გონებრივი ძლიერებით. ქალი სქესით მხიბლავი და გონებით მოქიშპე. მეორე მხრით კი—სნეული, განხორციელებური ნერვოზი, უძლური და მოთენთილი არსება—თანამედროვე ინტელიგენტი, პშიბიშევსკი ამბობს:

„ნუ გეშინიათ ნერვოზის. ნევრასტენია ეს ახალი და აუცილებელი ფაზაა განვითარების, რომელშიაც ტვინი უფრო შრომის შემძლეა და შომეტებული მგრძნობიერობის გამო უფრო ნაყოფიერიც. თუ დღეს ნერვოზი ძალიან მავნეა ორგანიზმისთვის, მომავალში ეს ასე არ იქნება. რასაც დღეს ნევრასტენიას უწოდებენ, ხვალ მას დიდებულ ჯანმრთელობად ჩასთვლიანო". მისი აზრით ნერვოზში და ფსიხოზში გამოიხატება მთელი თანამედროვე ეპოქის ფსიხოლოგია. როგორც ცოცხალი არსება ვერ უძლებს ნორმაზე გადამეტებულ ელექტრონის ძალას, ისე თანამედროვე ინტელიგენტი ვერ უძლებს და გაურბის საღ და ძლიერ გრძნობას. მას ეშინია ცხოვრების, ქალის, სქესის, სიყვარულის. მას ეშინია ნამდვილი, ნორმალური, ძლიერი და წარმტაცი სიყვარულის, რომელიც სულის და სხეულის ჰარმონიაში მდგომარეობს, რომელიც ამაღლებს და აკეთილშობილებს სულს, ატკბობს და ჰკურნავს სხეულს, რომელიც მაგრილობელ ცის ნამად ეცლინება ატროვებულ და აღგზნებულ სხეულს; ნავის მსგავსად ნაზად ჰქრის და ანელებს მხურვალებას, აწყნარებს აღტყინებულ სულს და აყრუებს მისი კვნესის ხმას; რომელიც ორ არსებათა კავშირიდან სქედავს და ჰქმნის ბედნიერებას ქვეყნად. მისი მოშლილი ბუნება მოითხოვს რაღაც სხვაგვარ სიყვარულს. და აი სწორედ ასეთ სიყვარულს ასეთ გრძნობას და გატაცებას, რომელიც თანამედროვე ინტელიგენტის დამახასიათებელ მოვლენად გადაქცეულა საუცხოვოდ აღწერს ჩრდილოეთის გამოჩენილი მწერალი ოლა განსონი. ის მას საკუთარ სახელსაც არქმევს: „თანამედროვე ცივილიზაციის ნიადაგზე აღმოცენდა შესანიშნავი და იშვიათი მცენარე, რომელსაც სახელად ეწოდება: Sensitiva Amorosa-"ო, ამბობს ის. მის უბრალოდ დაწერილ, მაგრამ მწარეთ დამაფიქრებელ, პატარა, მაგრამ აზრით ღრმა, მოთხრობათა თაიგულში, ის გენიალური ხელოვნებით ხატავს ინტელიგენტის სულიერ სახეს. აქ არის აღსარება ადამიანისა, რომლის ბუნება ისე დანგრეულა და დაუძლურებულა, რომ მას არ ძალუძს საღი და ძლიერი სიყვარული. როგორც ღვინო დუღილის დროს ჰხეთქს ჰურჭელს, ისე გრძნობა სიყვარულისა არღვევს მის სუსტად შეკოწიწებულ სულის აგებულებას. სიყვარულს მისთვის ბედნიერების და კმაყოფილების მაგიერ მოაქვს უბედურება, შიში და საშინელება. ამიტომ ის გაურბის და ერიდება სიყვარულს, როგორც საფრთხეს, როგორც ულმობელ ძალას, როგორც სტიქიონის მუქარას. უარჰყოფს რეალურ სიყვარულს და მის მაგიერად ჰქმნის რაღაც განყენებულ წარმოდგენას სიყვარულისას. ის შორიდან უცქერის ქალს, სტკბება მისი მშვენიერებით, სულით და აზრით ერთავის მას, იხედება მისი თვალების უძირო და საიდუმლო ტბაში და კითხულობს აზრებს მის სიღრმეში ჩაწოლილთ. სიყვარული უტყვი და მდუმარე, განშორებული მანძილით და მდგომარეობით, მიუკარებელი და მორიდებული, რომელიც მხოლოდ მკრთალად კიაფობს სადღაც შორს საიდუმლოების ნისლში და შემდეგ ჰქრება. სიყვარული შემდგარი მხოლოდ სულიერი ელემენტებისაგან, განყენებული და ჰაეროვანი, მიუწდომელი და უიმედო, ოცნების ფრთებით შემოსილი და ფიქრში მთრთოლვარე—აი რა იტაცებს და ხიბლავს მის არსებას, რა ატყვევებს მის სულს და სცვლის მის ცხოვრებას. სქესობრივი დამოკიდებულება, ალერსი და ხელის შეხება, ვნებათა ღელვა და სხეულის ტკბობა მას შიშის ზარს სცემს, ღუპავს და აუბედურებს. თანდათანი დაახლოვება ქალთან მასში თანდათან აძლიერებს შიშს და მოუსვენრობას. ფიქრი, რომ, ის ყოველ დღე, ყოველ წუთში და ყოველ წამში უფრო და უფრო უახლოვდება თავის საცოლეს, გახურებულ შანთივით ესობა ტვინში და იქცევა ტანჯვად და სასოწარკვეთილებად. იგი ხდება მის idée fix-ად, რომელიც უფრთხობს ძილს, უსპობს სულიერ სიმშვიდეს და კვალში ჩამდგარი მუდამ თან დასდევს, როგორც აჩრდილი, როგორც ბოროტი სული. როცა ის რჩება საცოლესთან, როცა მასში იღვიძებს და იწყებს მუშაობას პირველყოფილი ბუნება და ბრმა ინსტინქტები ცეცხლის ნაკადულებივით სჩქეფენ მის ძარღვებში, როცა დუღილი აღწევს უმაღლეს წერტილს და მხოლოდ ბეწვის ოდენა სივრცე აცილებს მას სქესობრივი თავდავიწყების მწვერვალს, ის ძლიერი ტალღით მაღლა შეტყორცნილი უეცრად პირქვე ეცემა, კვნესის და გმინავს, შიშისაგან თრთის და კანკალებს. ბოლოს ბინდ გადაყრილი აზრში მოსული ის იკვლევს და უკვირდება ამ საკვირველ მოვლენას. ანალიზის შუქით ათვალიერებს თავის სულის ხვეულებს და ხვრელებს ამ მომენტის ასახსნელად და გასაგებად.. და იქ შორს, სულის სიღრმეში, მისი ფესვების ძირში, ის ამჩნევს საშინელი სენის სოკოს და ხვდება, რომ სენი იგი შიშია ცხოვრებისა. და ეს შიში სტანჯავს მის სულს, უყინავს სისხლსა და ტვინს, ატყვევებს მის არსებას, როგორაც უბედურება მუდამ კართან მოდარაჯე და მომლოდინე. აუცილებელი და გადაწყვეტილი კავშირის მოახლოვება მის აღტყინებულ წარმოდგენაში იხატება, როგორც საღრჩობელა, რომელიც თანდან ეჭირება ყელზე და უახლოებს აღსასრულის წამს. შიში იქცევა გრიგალად, იტაცებს მას, როგორც ხმელ ფოთოლს და ის სტოვებს საცოლეს, გაურბის საშინელებას. „რისი შიშია ეს შიში, რომელსაც განიცდის მრავალი ჩვენი თანამედროვე, რაში მდგომარეობს ის და რა არის მისი მიზეზი"?—კითხულობს ოლა განსონი. ჩვენ უკვე ვიცით ამის პასუხი.

**ს. ქავთარაძე**

*) ამ წერილებში გამოთქმულ ზოგიერთ სახელმძღვანელო აზრს ჩვენ არ ვეთანხმებით.

რედ.

---

რედაქტორ-გამომცემელი

**გრიგოლ დიასამიძე.**


## კიწმარაშვილის და ამხ.

## თესლეულობის მაღაზია

ქუთაისში, პუშკინის ქუჩაზე

იყიდება: იონჯის, სამყურის, კოლინდრის, ამერიკული ბალახი „პენცელარია". ბეოლის, დაფნის, ეკლის ხის. საუკეთესო ჯიშის თეთრი და ყვითელი აბრეშუმის თესლი და ყოველგვარი ბოსტნეულობის, ყვავილების და სხვადასხვა თესლეულობა. ნერგები და სხვადასხვა ნამყენი ხეხილების, დაფნის, ბეოლის, ეკლის, ხის „აკაციის" და იასამანის. აგრეთვე იყიდება ჩვენთან საუკეთესო ჯიშის **ჩაის** და ხავერდის ვარდის ნერგები.



პაპიროსის ქაღალდის ფაბრიკა

# კავკაზი

ა. ო. იმნაძისა და ამხ.

ქ. ბათუმი, თბილისის ქუჩა, სახლი № 76.

მზადდება საუკეთესო ჰიგიენური პაპიროსის ქაღალდის წიგნაკები,

**ძლიერ ზომიერ ფასებში.**

დაკვეთა სრულდება სწრაფად და რიგიანად.

ადრესი: **Батумъ, Тифлисская ул. № 76.**



ამ წლის პირველ თებერვლიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური ქართული გაზეთი

# „ცხოვრება"

გაზეთი ღირს წლიურათ 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., 3 თვით 2 მან. 50 კ., თვიურათ ქუთაისში 80 კ., ქუთაის გარეთ 90 კ., საზღვარ გარეთ 14 მან. ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯუღაშვილი.

დროებითი ადრესი: Кутаисъ, Александровская ул. д. № 6. Савелію Трифоновичу Горгадзе. ფული მიიღება მხოლოდ გორგაძის სახელზე. 0—7.



# კოლხიდა

1912 **წელიწადი მეორე.**

**გაზეთის დასაკვეთი ფასი:**

ერთი წლით 7 მანეთი. ნახევარი წლით 4 მანეთი. ერთი თვით 4 აბაზი.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი ამნაირი სალავათიანი წესით შეუძლიათ გადაიხადონ:

ხელის მოწერის დროს 3 მანეთი, პირველ მაისს 2 მანეთი, პირველ ეკენისთვის 2 მანეთი.

ცალკე ნუმერის ფასი **ერთი შაური**, მის მართის გამოცვლისათვის **ათი შაური**. სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს, სტუდ. სათვისტომოებს, სოფლის მასწავლებელთ და შკოლებს გაზეთი ნახევარ ფასათ დაეთმობათ.

**საზღვარ გარეთ:** წლიურათ —14 მან., თვიურათ —ექვსი აბაზი.



# სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

**მიიღება ხელის-მოწერა 1912 წლისათვის.**

**ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1912 წელსაც გაზეთს ექნება**

## სურათებიანი დამატება

(კვირაობით)

**პრემიად** 1912 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **გრდემლი**

**ქართულ სიტყვა-კაზმულ საზოგადოების კრებულის პირველი ტომი, რომელიც „სახალხო გაზეთის" რედაქციამ სრულ საკუთრებად შეიძინა.**

კრებული „გრდემლი" დაახლოვებით 500 გვერდიანი იქნება, იბეჭდება და ხელის-მომწერთ **იანვარშივე დაურიგდება.**

**გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.50 | 8. | 7.50 | 6.75 | 6. | 5.25 | 4.50 | 3.75 | 3. | 2.25 | 1.50 | .75 |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

**ადრესის გამოსაცვლელი ფასი** ტფილისიდან ტფილისს გარეთ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კაპ.**

**დანარჩენ შემთხვევებში უფასო.**

**ექვსი შაური** უნდა გაეგზავნოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს კრებული „გრდემლი" მიიღოს ფოსტით. ქუთაისისა, ბათომისა, სოხუმისა, ფოთისა, გორისა და თელავის ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიას ადგილობრივ აგენტთაგან.

**წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით** მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის მოწერისათანავე 3 მ.; 1 მარტამდის 2 მ.; 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1912 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა მიიღება:**

1) „**სახალხო გაზეთი**"-ს **კანტორაში**, (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).

2) **ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში.**

3) **ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.**

**წიგნის მაღაზიების საყურადღებოდ:**

**წიგნის მაღაზიებს, რომლებიც მიიღებენ ხელის მოწერას და ფულს გამოგზავნიან არა უგვიანეს 29 დეკემბრისა, საკომისიოდ მიეცემა 5%.**



**მიიღება 1912 წ. ხელის მოწერა სახალხო საზოგადო-საეკონომიო ჟურნალ**

# კოოპერაციაზე

**წელიწადი მეორე**

პროგრამა: 1) მოწინავე წერილები საკოოპერაციო და საეკონომიო საკითხებზე, 2) წერილები სამუნიციპალო საქმეებზე, 3) კორესპონდენციები და კოოპერატიულ ცხოვრების მიმოხილვა, სურათებით; 4) გამოჩენილ კოოპერატორებისა და საზოგადო მოღვაწეების ბიოგრაფია, სურათებით; 5) მიმდინარე ცხოვრება; 6) წერილები ჯანმრთელობაზე; ნარევი და სხვა. განსაკუთრებული ყურადღება იქნება მიქცეული კოოპერაციის პრაქტიკულ კითხვებზე. ჟურნალში დებულობენ მონაწილეობას საუკეთესო მწერლები და საზოგადო მოღვაწენი. ჟურნალი ღირს ქუთაისში და ქუთაისს გარედ, გაგზავნით: წლიურად 3 მ., ნახევარი წლით 1 მ. 75 კ., თვიურად 40 კ. ჟურნალი ცალკე ნომრებად არ გაიყიდება.

წლიური ხელის მომწერლები მიიღებენ 1912 წლის განმავლობაში ჟურნალის 24 ნომრებს და რამდენიმე მთლიან ბროშურას დასავლეთ ევროპისა და რუსეთის კოოპერატიულ ცხოვრებაზე და პრაქტიკულ საკითხებზე გარდა ამისა ყველა ხელის მომწერი, რომელიც მოაწერს ხელს ჟურნალზე თებერვლის დამლევამდე და შემოიტანს სრულად წლიურ გადასახადს ათი შაურის დამატებით, დაუმატებლად დებულობენ ისინი, ვინც მოაწერეს ხელი 1911 წ. 31) მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მიიღებენ საჩუქრად მოსკოვის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის დამაარსებელის, ნ. პ. გიბნერის საუცხოვო წიგნს ქართულად: „კოოპერაციის სისტემები", რომელიც ცალკე ღირება 1. მ. 20 კ.

1911 წლის ნომრებში მოთავსებულია, სხვათა შორის, შემდეგი წერილები: „დარიგება მომხმარებელ საზოგადოების დამაარსებელთათვის", „გამგეობის პირველი ნაბიჯები", „სასოფლო-სამეურნეო სინდიკატები საფრანგეთში", „სახელოსნო კოოპერატივები", გამოჩენილ კოოპერატორების ბიოგრაფიები, ლევ. ტოლსტოის, პროფ. კაბლუკოვის და სხვ. გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა და პროფესორ-ეკონომისტების აზრი კოოპერაციაზე; წერილები ნოე ჟორდანიასი, თ. ღლონტის, დ. დამბაშიძისა (ლონდონიდან), ვ. თ. ტოტომიანცის და სხვ. 1911 წლის კომპლექტი ღირს 1 მ. 50 კ.

ადრესი წერილისა და ფულის გამოსაგზავნად: Кутаисъ, редакція журнала „Кооперація".


ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „სორაპანი", მაღათოვის კუნძული, № 1.